ხუთშაბათი

# კავკასიონი

მაისი 16 1996

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 83 (377)

ფასი 40 თეთრი




## სეპარატისტთა დამცველი — „ფინიშთან“

მოსკოვის პროკურატურამ დაასრულა ვალერია ნოვოდვორსკაიას საქმის გამოძიება. მას ბრალი ედება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე სტატიის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში — წინასწარგანზრახული ქმედებანი ეროვნული შუღლის გაღვივების მიზნით. გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ თავის ინტერვიუებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში ნოვოდვორსკაია პროპაგანდას უწევდა რუსი ერის არასრულფასოვნების იდეას და აღვივებდა რუსი ხალხისადმი სიძულვილს.

ვალერია ნოვოდვორსკაია, ამავე დროს, აფხაზური სეპარატიზმის ცნობილ დამცველად და პროპაგანდისტად ითვლება. თავის პუბლიკაციებში, გამოსვლებში იგი აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ აქეზებდა.

ნოვოდვორსკაიას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ელოდება.

## ჯინჯოლიას კომენტარი

აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა სოკრატ ჯინჯოლიამ კომენტარი გაუკეთა ქართული მხარის წინადადებას — კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალებმა შეასრულონ პოლიციური ფუნქციები, ხოლო საგუშაგოებმა მდიანრე ღალიძგაზე გადაინაცვლონ. მან აღნიშნა, რომ ეს ვარიანტი მიუღებელია.

„ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ აფხაზეთი არასოდეს დათანხმდება მსგავს წინადადებას. შეგახსენებთ, რომ ზონაში სამშვიდობო ძალების მოქმედების პირობები განსაზღვრულია 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში კონფლიქტის მონაწილე მხარეების, რუსეთის ფედერაციისა და გაეროს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით. რაიმე ცვლილების შეტანას აფხაზეთთან მიმართებაში, ჩვენ არ დავუშვებთ", — დასძინა სოკრატ ჯინჯოლიამ.

BS-PRESS

## საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მოსკოვში

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, საქართველოს დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, მოსკოვს გაფრინდა.

დღეს მოსკოვში ხელი მოეწერება მემორანდუმს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. დოკუმენტს ხელს მოაწერენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე.პრიმაკოვი, მისი ქართველი კოლეგა ი. მენაღარიშვილი, სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლ. ჩიბიროვი, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ა. გალაზოვი და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი დ. ბოდენი.

მემორანდუმში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ხვალ კი საქართველოს პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაში. საქართველოს დელეგაცია წარადგენს აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ახალ სქემას. მისი მიღების შემთხვევაში, არსებული მანდატი გაგრძელდება ახალი მანდატის დამტკიცებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამოქმედდება საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის დადგენილება, რომელიც კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას ითვალისწინებს.

იპრინდა

საკითხავია

## რატომ გაძვირდა ბენზინი?

უკანასკნელ ხანს ერთი ლიტრი ბენზინის ფასი თბილისში 38-40 თეთრამდე გაიზარდა. 13 მაისს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე აღინიშნა, რომ ეს მსოფლიო ბაზარზე ფასების აწევამ გამოიწვია.

საზღვარგარეთის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეგრეთწოდებულმა „პლაცმა" — ბენზინის ფასმა — ბოლო ორი თვის მანძილზე აიწია და ამჟამად ერთ ტონაზე 220 დოლარს შეადგენს. ევროპაში ერთი ლიტრი ბენზინის ღირებულება ერთ დოლარს აღწევს, შეერთებულ შტატებში — 30-32 ცენტს. თუმცა, საქართველოს ბაზარზე ფასის მომატება შემოტანილ საწვავზე გადასახადების გაზრდამაც განაპირობა, რაც 1996 წლის ბიუჯეტის მიღების შემდეგ მოხდა.

თუ ადრე საბაჟო გადასახადი შეადგენდა ათ პროცენტს ნატურით, ახლა იგი პროდუქტის ფულადი ღირებულების 15 პროცენტს აღწევს, პლუს 21 დოლარი თითოეულ ტონაზე, რომელიც ეკოლოგიის ფონდში ირიცხება.

КАВКАЗ-ПРЕСС

მერიაში

### დადგენილებები — ფარატინა ქაღალდი

თბილისის მერიის მიერ ქუჩებში ვაჭრობის აღკვეთის თაობაზე მიღებული არცერთი დადგენილება არ სრულდება — განაცხადა მერიაში გამართულ თათბირზე ქალაქის მუნიციპალიტეტის ვიცეპრემიერმა მელორ ტყეშელაშვილმა. მისი თქმით, მერიის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დადგენილება არაეფექტურია, თუ მათი შესრულებისას მერიასთან კონტაქტში არ იქნებიან პოლიცია, კონტროლის ორგანოები, რაიონული ადმინისტრაციები.

BGI

ნომერშია

**ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ**

იხილეთ მე — 2 გვ.

მოკლედ

### გაფიცვა მთავრდება, პრობლემები რჩება

პედაგოგთა გაფიცვა გუშინდელი დღიდან უნდა შეწყვეტილიყო — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტისა და პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა. ყველა სკოლა ვალდებულია შეუდგეს მუშაობას, პედაგოგთა პრობლემებს კი უახლოეს დროში განიხილავენ და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. თუ ეს ასე არ მოხდება, გაფიცვის კომიტეტი გააგრძელებს საპროტესტო აქციას.

BGI

### შეავსეთ საწესდებო კაპიტალი!

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რესპუბლიკის კომერციული ბანკებისადმი საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით მიცემული პირველი ვადა პირველ ივნისს იწურება.

ეროვნული ბანკის განკარგულების თანახმად, კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალმა, მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე, ფულად ფორმაში, 100 ათასი დოლარი უნდა შეადგინოს. 1998 წლის 1 ივნისამდე — 500 ათასი დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტის ერთეული. შედეგები შეჯამდება ივნისის შუა რიცხვებში. აღნიშნული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ურჩ" ბანკებს დახურვა ემუქრებათ.

BS-PRESS

### განახლდება სასამართლო პროცესი

მომავალი კვირიდან განახლდება საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა. ამის შესახებ განაცხადა დიდუბის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ ხურციძემ.

კიტოვანის საქმესთან ერთად განახლდება ირაკლი სურგულაძის და ვალერი ფისიუნის სასამართლო პროცესიც.

იბერია

### «შავი გედის» «აღსასრული»

თბილისის მერიამ გადაწყვიტა დახუროს ერთ-ერთი ბაზრობა ნავთლუხის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ბაზრობას „შავი გედი" ეწოდება და ერთ-ერთი ყველაზე იაფი და არაორგანიზებული ბაზრის რეპუტაციით სარგებლობს. ექსპერტთა აზრით, მისი დახურვა, შესაძლოა, სანიტარული წესრიგის ზოგიერთ პრობლემას გადაჭრის, მაგრამ თბილისელებს იაფი საქონლის ფართო ასორტიმენტი მოაკლდებათ.

BGI

### იყიდეთ ვაშლი და ყავა!

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მიმდინარე კვირაში ფასები სამომხმარებლო საქონელზე, მთლიანობაში, 0,1 პროცენტით შემცირდა, მათ შორის, საკვებ პროდუქტებზე — 0,2 პროცენტით. გასულ კვირასთან შედარებით, ფასები დაეცა ვაშლზე და ყავაზე, შესაბამისად 7,7 და 11,1 პროცენტით. დანარჩენ საქონელზე, რომელთა შორის იგულისხმება მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში შემავალი 40 დასახელების პროდუქტი, ფასები სტაბილურია.

КАВКАЗ-ПРЕСС

იყიდეთ რამე?

## დაფიქრდით, ვიდრე გადაიხდით!

უკანასკნელ ხანს ტელევიზიით, რადიოთი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მოსახლეობას ეცნობა, რომ ქართულ ბაზარზე გამოტანილი უცხოური თუ სამამულო წარმოების სხვადასხვა სახეობის საკვების უმრავლესობა და, განსაკუთრებით სასმელი, არანაირ ხარისხობრივ მაჩვენებელს არ შეესაბამება.

თბილისის მერიასთან შეიქმნა სახალხო მოხმარების საქონლის უსაფრთხოების, ხარისხის და გაზომვის საშუალებათა ტესტირების ცენტრი „თბილტესტი", რომელიც კონტროლს ახორციელებს კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე, სავალდებულო სერთიფიცირებასა და საქონლის შენახვის პირობების მოწესრიგებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „თბილტესტი" სულ ცოტა ხნის შექმნილია, უამრავი დარღვევა და საგანგაშო ფაქტი გამოაშკარავდა.

გთავაზობთ „თბილტესტის" მუშაობის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების ფაქტებს

- წლის დასაწყისში სერთიფიცირების გარეშე მოხვდა რეალიზაციაში სამამულო წარმოების პროდუქციის 90 პროცენტი და იმპორტული პროდუქციის 70 პროცენტზე მეტი (იმპორტული პროდუქციის ხარისხის მოწმობის დიდი ნაწილი უცხოენოვანი იყო), მათ შორის თითქმის სერთიფიცირების გარეშე ხდებოდა ალკოჰოლიანი სასმელებისა და კონსერვების მთელი რაოდენობის რეალიზაცია.
- უხეშად ირღვევა კვების პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის ნორმები აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებზე (შპს „კოლხა", მდებარე [illegible] ქ.№8; შპს „[illegible]", მდებარე [illegible] ქ.№9, შპს „შავი გედი", მდებარე ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე... [illegible] ტერიტორია [illegible], სუფევს ანტისანიტარია, [illegible] აწყვია პირდაპირ [illegible] [illegible] გვერდით დევს [illegible] შაქარი, ბურღული, თევზი, [illegible] საშუალებები...
- პროდუქციის შერჩევითი შემოწმებისას დადგინდა სასაქონლო [illegible] დაკარგული, საკვებად [illegible] ვარგისიანობის და ვადაგასული პროდუქტებით ვაჭრობის ფაქტები.

იხილეთ მე 2 გვ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია

## რას მოიმოქმედებენ რუსი ებრაელები?

ასობით ათასი რუსი ემიგრანტი, როგორც ჩანს, დიდ როლს ითამაშებს ისრაელის 29 მაისის საპარლამენტო არჩევნებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაახლოებით 600 ათასი რუსი ებრაელი ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. 1992 წელს ჩატარებულ არჩევნებში მათ სერიოზული როლი შეასრულეს, რადგან არ დაუჭირეს მხარი მემარჯვენე „ლიკუდის" მთავრობას და, ფაქტობრივად, „ჩაძირეს" იგი. თუმცა, ამჯერად იოლი გამოსაცნობი არაა, თუ ვის მიემხრობიან ისინი — ლეიბორისტთა ხელში მათი ცხოვრება თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ ძალიან უჭირს, ბევრიც უმუშევრობითაა შეწუხებული. ზოგიერთმა, საკუთარი პრობლემებით გაბოროტებულმა ემიგრანტმა, უარიც კი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე.

ასე რომ, შიმონ პერესს დიდი წინდახედულება მართებს რუსი ებრაელების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

## პოლიტიკური თავშესაფარი — «ღირსეულთ»!

გერმანიის უმაღლესი სასამართლო განიხილავს ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის სისტემაში არსებულ დარღვევებსა და უკანონობას. ამჟამად სასამართლოს მიერ ნებადართულია თავშესაფრის მიცემა ყველა იმ პირისთვის, ვინც საჭიროებს ამას, მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე ამ სფეროში ძალიან ბევრი დარღვევა შეინიშნება. ამდენად, ეს სისტემა ეკონომიკურ ზარალთანაცაა დაკავშირებული. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ პოლიტიკურ ემიგრანტთა ანკეტები უკანონოდ იყიდება და „ღირსეულ" პიროვნებათა ხელში არ ხვდება.

გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების სისტემას ყველაზე უფრო ლიბერალურად მიიჩნევენ მთელს ევროპაში. მაგრამ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა უკვე წელიწადში 400.000-ს მიაღწია. ამდენად, საჭირო გახდა სისტემის გამკაცრება. თავშესაფრის მსურველთაგან ბევრი ეკონომიკურ კეთილდღეობას ეძებს და ამიტომ არ შეიძლება მათთვის პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსის მინიჭება.

## უკან არავინ იხევს

ორშაბათს ესპანეთის წამყვანმა გაზეთმა „El Pais"-მა აცნობა მსოფლიო საზოგადოებას ბასკთა სეპარატისტული დაჯგუფება ეტას პოლიტიკური ფრთის ლიდერ ბატისუნასა და ქვეყნის მთავრობის დაპირისპირების თაობაზე (ბასკი ნაციონალისტები ესპანეთიდან გამოყოფისთვის იბრძვიან). ამ პუბლიკაციის შემდგომ ბატისუნამ განაცხადა, რომ იგი არ შეწყვეტს ბრძოლას ახალი კონსერვატიული მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად. თავის მხრივ, ხელისუფლებაც არ აპირებს დათმობებზე წასვლას და აცხადებს, რომ მკაცრ ზომებს მიმართავს სეპარატისტთა წინააღმდეგ, რადგან მათთან მოლაპარაკების გამართვაზე საუბარიც კი ზედმეტია.

## აშხაბადის სამიტი

აშხაბადში გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეთო) წევრი აზიის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა.

1992 წლის შემდგომ, ამ ორგანიზაციის დამაარსებელ სამ სახელმწიფოს (თურქეთი, ირანი და პაკისტანი) შუა აზიის ყველა ქვეყანა, ასევე ყაზახეთი, ავღანეთი და აზერბაიჯანი შეუერთდნენ, რის შედეგადაც ეთო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ორგანიზაცია გახდა მსოფლიოში. ამ სახელმწიფოებში დღეისთვის 350 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

აშხაბადის შეხვედრაზე მიღებულია გადაწყვეტილებები რკინიგზის მშენებლობის, სატრანზიტო ვაჭრობის, რეგიონალური ბანკის შექმნის თაობაზე. მაგრამ სამიტზე ისიც აღინიშნა, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა გადახედვას საჭიროებს, რათა გაიზარდოს მისი აქტივობა. დასახული გრანდიოზული გეგმები რეალურ საფუძველსა და ფინანსირებას საჭიროებენ. სამოქალაქო ომი კი ავღანეთსა და ტაჯიკეთში, ორგანიზაციის სახელს ჩირქს სცხებს და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების უნდობლობას იწვევს. აქტუალური რჩება ამ სახელმწიფოებში ნარკოტიკების ბრუნვასთან ბრძოლაც.

სამიტის წევრებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია.

## თურქეთი «პოლიტიკური ქარიშხლის» მოლოდინშია

თურქეთი დიდი პოლიტიკური საფრთხის წინაშე დგას. კოალიციური მთავრობის მომავალი კითხვის ქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერმა ისლამისტებმა გაიმარჯვეს კონსტიტუციურ სასამართლოში. სასამართლომ მქავრობის ნდობის ვოტუმი გააუქმა, რომელიც დამტკიცებული იყო ორი თვის წინ და რამაც კონსერვატიულ კოალიციას ძალაუფლება მიანიჭა.

ისლამისტი დეპუტატები აცხადებენ, რომ პრემიერმინისტრმა მესუთ ილმაზმა დაკარგა ნდობა და ავტორიტეტი, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ანარქიის საშიშროებას შეიცავს.

ქვეყნის დედაქალაქი პოლიტიკურ ინტრიგებშია გახვეული. მდგომარეობა ძნელად პროგნოზირებადია.

კონფლიქტები

## გროზნოს ცენტრში, დღისით, მზისით...

გუშინ ჩეჩნეთში ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფებების მთავარ ბაზაზე გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელზეც რუსეთის ყველა ძალოვანი სტრუქტურის — თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, უშიშროების ფედერალური სამსახურის და თავად ჩეჩნეთის პრორუსული მთავრობის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა იმსჯელეს რუსეთის პრეზიდენტის შესაძლო ვიზიტის წინ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების თაობაზე.



მანამდე კი, დილით, გროზნოს ცენტრში, ყუმბართმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს ჩეჩნეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მაგამადოვის კუთვნილ ავტომანქანას. იტარ-ტასის ცნობით, ამ ტერორისტულ აქტს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ბოლო ინფორმაციით, ბამუტისა და სტარი აჩხოის რაიონებში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლები. ორეხოვო კი რამდენიმე დღის წინ დაიკავეს ფედერალურმა ძალებმა. ახლა იქ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ლტოლვილების დაბრუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაზე ზრუნავენ.

გუშინვე, პიატიგორსკის მახლობლად, ქალაქ ლერმონტოვოში, დაიწყო ჟურნალ „ფოკუსის" კორესპონდენტის ნატალია ალიაკინას მკვლელობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი. იგი 1995 წლის 17 ივნისს მოკლეს ბუდიონოვსკის შემოგარენში. მკვლელობაში ბრალი ედება რიგით ჯარისკაცს, რომლის საბედისწერო გასროლამაც იმსხვერპლა ჟურნალისტი. იგი იარაღის გაუფრთხილებელ გამოყენებაშია ინკრიმინირებული და 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

ჩეჩნეთში, ოფიციალური მონაცემებით, უკვე 17 ჟურნალისტი დაიღუპა. ეს სასამართლო პროცესი კი ჯერ პირველია, რომელმაც საზოგადოება მასმედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილ მკვლელობათა გარემოებებში უნდა გაარკვიოს.

ტაჯიკეთი

## სამოქალაქო ომი გრძელდება




ტაჯიკეთში სამთავრობო ჯარებსა და შეურიგებელ ისლამურ ოპოზიციას შორის გრძელდება შეიარაღებული დაპირისპირება. ბრძოლებმა ქვეყნის დასავლეთისკენ გადაინაცვლა. ანალიტიკოსების აზრით, სიტუაციის ასეთი გამძაფრება ყოველთვის წინ უძღვის ხოლმე შიდატაჯიკური მოლაპარაკებების მორიგ რაუნდებს. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო ჯარების დირექტორმა ანდრეი ნიკოლაევმა განაცხადა, რომ „შეთანხმების არშესრულებამ, რომლის თანახმადაც, 26 მაისს უნდა შეწყდეს ცეცხლი, შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის გამძაფრება ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე".

„რუსეთის სასაზღვრო ჯარები არ მიიღებენ მონაწილეობას ქვეყნის სიღრმეში შეჭრილი ტაჯიკური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა. მან ასევე აღნიშნა, რომ 201-ე დივიზიის ნაწილები მხოლოდ დაიცავენ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებს და ექსტრემალურ სიტუაციებში დაეხმარებიან მესაზღვრეებს.

გამძაფრდა სიტუაცია ტაჯიკეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ ურა-ტიუბეში. ქალაქის ცენტრში სამშაბათს არეულობა შეინიშნებოდა. ცეცხლი წაუკიდეს ქალაქის ადმინისტრაციის, პროკურატურისა და მილიციის განყოფილების შენობებს. არიან დაჭრილები და დახოცილები. ქალაქის ადმინისტრაციის წინ შეკრებილმა ხალხმა ადგილობრივი ხელისუფლების გადადგომა მოითხოვა.

მუსლიმანი ოპოზიციონერები კვლავ გააქტიურდნენ ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრის ახლო მდებარე ქალაქ ტავილდარის რაიონშიც. იქ ამჟამად 500-მდე შეიარაღებული მებრძოლია გამაგრებული.

## წინააღმდეგობები კვლავ რჩება

ტირასპოლში გამართულმა მოლაპარაკებამ მოლდოვას ხელისუფლებასა და დნესტრისპირეთის ლიდერებს შორის, შედეგად, წინ წაწია დნესტრისპირეთის სტატუსის განსაზღვრის საქმე, მაგრამ სიტუაციის სრულ დარეგულირებამდე ჯერ კიდევ შორია.

მოლდოვა უნიტარული სახელმწიფოს შენარჩუნებას მოითხოვს, ტირასპოლი კი მიიჩნევს, რომ კიშინიოვთან მისი ურთიერთობა თანასწორუფლებიანი სამართალსუბიექტების პრინციპების დაცვით უნდა აიგოს. მხარეები შეთანხმდნენ, გააგრძელონ მუშაობა დნესტრისპირეთის სტატუსის თაობაზე და ხელი მოაწერონ მას მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდზე, რომელიც, პრეზიდენტ სნეგურის წინადადებით, 17 ივნისსაა დაგეგმილი.

სეპარატიზმი

## ბონაპარტეს სამშობლო ბობოქრობს

კორსიკის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ იგი გააგრძელებს დაუნდობელ ბრძოლებს, საფრანგეთის მთავრობა ორი კვირის განმავლობაში არ დაამყარებს მშვიდობას კუნძულზე. ორშაბათს გავრცელებულ განცხადებაში კორსიკის ეროვნული განთავისუფლების რადიკალურმა ფრთამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი შეწყვეტს ყოველგვარ კონტაქტს პარიზთან. მიზეზი: მათთვის ცნობილი გახდა, რომ კუნძულის თაობაზე უკვე ჩატარდა რამდენიმე საიდუმლო შეხვედრა.

უკმაყოფილება კუნძულზე სულ უფრო მატულობს. საფრანგეთის პოლიცია ყოველნაირად ცდილობს, შეაჩეროს ნაციონალისტური მოძრაობა. ამბოხებულთ დაპატიმრებითაც ემუქრებიან. თუმცა ჯერჯერობით, არაფერი ჭრის. კონფლიქტი სულ უფრო მწვავდება.

გამოსათხოვარი

# «ეხლა კი ფარდა...»



**მხარზე ჯარისკაცის ჩანთაგადაგდებული, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, წყლიანი თვალებით, დინჯი ნაბიჯით, თავდახრილი მიუყვებოდა იგი გზას, რომელსაც ყოველთვის იქ მიჰყავდა, სადაც მხოლოდ მას ელოდნენ...**

**მიხეილ თუმანიშვილი**

გაცილებით მეტი ტკივილი იგრძნო ადამიანებისგან, ვიდრე სიხარული. ამიტომ იყო ფრთხილი, ერიდებოდა კონფლიქტს, ჩხუბს, აყალმაყალს...

რუსთაველის თეატრიდან გაუშვეს... (?!)...

დაწერა წიგნი — „რეჟისორი თეატრიდან წავიდა".

გამოძევების მრავალი ფორმა არსებობს. შეიძლება კინწისკვრით გამოაგდო, შეიძლება სთხოვო, დაგვტოვეთო, შეიძლება აგრძნობინო — აღარ გვჭირდებიო...

მიხეილ თუმანიშვილმაც იგრძნო, რომ საჭირო აღარ იყო იქ, იმ ადამიანებთან, რომლებთან ერთადაც, უდიდესი ბრძოლის შემდეგ ახალი თეატრი შექმნა.

**კითხვა** — დღეს შესაძლებელია „შვიდკაცას" შექმნა?

**პასუხი** — მედიკო ჩახავა ახლად აფეთქებულ ატმის ყვავილს ჰგავდა, საოცარი სურნელით რომ გათრობს...

* * *

მე-11 აუდიტორია თეატრალურ ინსტიტუტში აღარ არსებობს, უფრო სწორად, ის მე-11 აუდიტორია, სადაც კინოსტუდია ქართული ფილმის თეატრალური სახელოსნო შეიქმნა.

**კითხვა** — რა შეიცვალა თეატრის გახსნიდან დღემდე?

**პასუხი** — შეიცვალა ის, რომ მე 50 წლის აღარ ვარ, არც ჩემი არტისტები არიან ყმაწვილები. ისინი შესანიშნავ მსახიობებად იქცნენ, რომელთა უკან უკვე საინტერესო ბიოგრაფიაა.

იგრძნო ასაკის მოძალება. თვალებში სევდა მოემატა. ყოველ ახალ დადგმაზე ისე მუშაობდა, როგორც უკანასკნელზე.

არც ერთ სპექტაკლზე იმდენ ხანს არ უწვალია, არ უფიქრია, არ უმუშავია, რამდენიც „ალუბლის ბაღზე".

**კითხვა** — რატომ ზის თქვენს აზროვნებაში ასე ხანგრძლივად „ალუბლის ბაღი"?

**პასუხი** — მინდა მნიშვნელოვანი რამ ვთქვა ამ სპექტაკლით. მუშაობის ყოველ ეტაპზე სხვადასხვა პრობლემებს ვპოულობ. დღეს მაინტერესებს არა მხოლოდ ის, ვინც ყიდის ალუბლის ბაღს, არამედ ისიც, ვინც ყიდულობს.

რექვიემი — მიხეილ თუმანიშვილმა „ალუბლის ბაღი" ვერ დაასრულა.

* * *

გარდაცვლილ მიხეილ თუმანიშვილს გაისად ხსოვნის საღამოს მოუწყობენ.

წლეულს ცოცხალს იუბილეც არ გადაუხადეს. მერე რა, რომ მას არ უყვარდა იუბილეები. თუ შესაძლებელია, ადამიანის ფიზიკური არსებობის გარეშე პატივი სცე მის ღვაწლს, ცოცხალზე ღმერთი გვიწყენდა?

ამ სამარცხვინო უყურადღებობას ისტორია არ გვაპატიებს.

**კითხვა** — საბედნიეროდ, ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და, სამწუხაროდ, დასასრული.

**პასუხი** — მე არ მეშინია... ჩემს შემდეგ თეატრში მოვლენ ჩემი მოწაფეები. ჩვენ შესანიშნავი თაობა გვყავს რეჟისორების და არტისტების.

* * *

„ცხოვრებაში არ უღალატია იმისთვის, რაც უყვარდა, და ასეთი ერთგულებით ალასრულა ამქვეყნიური ცხოვრება ორიათას წლამდე ოთხი წლით ადრე მაისის თვეში.

P.S. სამუშაო მაგიდაზე პატარა ქაღალდზე უკანასკნელი ჩანაწერი გააკეთა — **„ეხლა კი ფარდა..."**

**გიორგი ჩართოლანი**

**კითხვა** — რა არის თეატრი?

**პასუხი** — სასწაული!

მისი თეატრი მართლაც სასწაული იყო, უფრო მეტიც — დღესასწაული. ბედნიერი, ამაღლებული, ცხოვრებაზე შეყვარებული, იმედიანი გამოდიოდი თეატრიდან და თან ფიქრობდი, ნუთუ ერთ ადამიანს, შენს გვერდით მცხოვრებს, შენნაირად ორი ხელი, ორი ფეხი, ერთი თავი და ორი თვალი რომ აქვს, შეუძლია შეუმჩნევლად, თანდათან გაგხადოს ბედნიერი თუნდაც იმ დროით, რა დროსაც მონუსხული შეჰყურებ მის მიერ შექმნილ მშვენიერების ხატს.

აფიშაზე წერია — დადგმა მიხეილ თუმანიშვილისა. ეს ნიშნავს, რომ ამ საღამოს დარბაზში თავმოყრილთ დაავიწყდებათ თავი და სრულად გადავლენ იმ სამყაროში, სადაც ვითომდა მართლა უყვართ, ვითომდა მართლა ღალატობენ, ვითომდა მართლა ჩხუბობენ, ვითომდა მართლა...

* * *

ცხოვრება უყვარდა მიშა თუმანიშვილს, უყვარდა ძლიერ, უყვარდა გატაცებით. ამიტომ იყო ასე მრავალფეროვნად, ასე ხატოვნად, ზოგჯერ პოეტურად ამაღლებულად, ზოგჯერ კი უკიდურესად მიწიერად რომ წარმოადგენდა მას ფიცარნაგზე.

მუდამ სწავლობდა, აკვირდებოდა, რანაირია იგი — ცხოვრება, ვინ არის იგი — ადამიანი, რაგვარნი არიან ცხოველები, საგნები, ბუნების მოვლენები.

ეტიუდი — „დილით, ადრე, ახლადგაღვიძებული გაიზმორა და ლობიდან ჩამოვარდა. შეშფოთებულმა და სირცხვილისგან განითლებულმა ირგვლივ მიმოიხედა, დედლებმა ხომ ვერ დამინახესო" ("ჩვენი პატარა ქალაქი").

ბუნება მრავალმხრივია და ჩვენ კი — მისი ლამაზი ნაწილი. ენა უნდა ისწავლო, ბუნებას რომ ებაასო. ამ ენას თეატრში თამაშის ენა ჰქვია.

**კითხვა** — რა არის საჭირო იმისთვის, რომ თეატრი შექმნა?

**პასუხი** — სიყვარული, თამაშის სიყვარული.

და ათამაშდა მიშა თუმანიშვილის „სახლში-სათამაშოში" „ანტიგონე" და „ჭინჭრაქა", „ესპანელი მღვდელი" და „მეფე ლირი", „დონ ჟუანი" და „ბაკულას ღორები" და კიდევ მრავალი...

ვერ ათამაშდა „ალუბლის ბაღი".

ღვთით ბოძებული ნიჭიერება უსაზღვროა და ბედნიერია ის, ვისაც იგი აქვს, რადგან ამით შეელის სხვას — არსებობას უმსუბუქებს.

მრავალი ათასი ადამიანი იყო ბედნიერი, მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლებს რომ უცქერდა.

მრავალი ასეული ადამიანი იყო ბედნიერი, მიხეილ თუმანიშვილის წიგნებს რომ კითხულობდა.

მრავალი ათეული ადამიანი იყო ბედნიერი, მასთან რომ იზრდებოდა, ოსტატდებოდა.

ადამიანმა, თუნდაც ერთი ადამიანი რომ ბედნიერებასთან მიაახლოს, მისი მისია ამქვეყნად უკვე შესრულებული იქნება.

მაშ, ნეტარია მიხეილ თუმანიშვილის სული.

* * *

როდის იგრძნო მიხეილ თუმანიშვილმა ადამიანებზე მაგიური ზემოქმედების უდიდესი ძალა, ძნელი სათქმელია, მაგრამ რომ იგრძნო, ფაქტია, რადგან საკმარისია თუნდაც ერთი მისი სპექტაკლი მაინც გენახა, სულ რამდენიმე წუთით მას დალაპარაკებოდი ან მის ლექციაზე ან რეპეტიციაზე ერთხელ მოხვედრილიყავი, სამუდამოდ მოჯადოებული, ყოველ ღონეს ხმარობდი, კვლავ შეხვედროდი, უფრო მეტიც, ამპარტავნული სურვილი გკლავდა — მისი ყურადღების არეში მოქცეულიყავი, კეთილი სიტყვა, ქება დაგემსახურებინა.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ, ვინ იყო მიხეილ თუმანიშვილი.

სულ მალე ვიგრძნობთ. როცა მოგვენატრება მის ხელში კრიალოსნის თამაში და თავზე კახური ქუდი...

* * *

ლონდონში პიტერ ბრუკი სპეციალურად ჩაფრინდა საფრანგეთიდან, რათა მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლს დასწრებოდა და პირადად შეხვედროდა.

სპექტაკლის შემდეგ ბატონ მიშას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პიტერ ბრუკის გაბრწყინებული სახე დაინახა.

მსოფლიო თეატრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მდაბლად ხრიდა თავს მიხეილ თუმანიშვილის წინაშე.

**კითხვა** — რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

**პასუხი** — უხეშობის და „ხამობის".

შეიძლება იმის გამოც, რომ ბამბის ქულასავით რბილი ხასიათი არ ჰქონდა, სამოცდათხუთმეტი წლის მანძილზე

**მიხეილ თუმანიშვილს ეთხოვება დღეს სრულიად საქართველო და არა მხოლოდ საქართველო. მსოფლიოს თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი შემოქმედის გარდაცვალება აღიქვა, როგორც აუნაზღაურებელი დანაკლისი, ერთი დიდი თეატრალური აქტის დასასრული. სამწუხაროდ, ერთადერთი ნუგეში დღეს სამძიმარია...**

ვიზიარებთ თქვენს ულრმეს მწუხარებას უდიდესი ოსტატის, შესანიშნავი ადამიანის მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების გამო.

ნათელა ტოვსტონოგოვა,
ალექსანდრე ტოვსტონოგოვი,
ევგენი ლებედევი

ჩვენგან წავიდა სცენის ფაქიზი ოსტატი. ქართულმა თეატრმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ქედს ვიხრით უდიდესი რეჟისორის ხსოვნის წინაშე.

თქვენი რუსი მეგობრები — ულიანოვი, ეფრემოვი,
ბორისოვა, გონჩაროვი, სოლომინი.

გითანაგრძნობთ და ღრმად დამწუხრებული ვართ გამოჩენილი რეჟისორის, შესანიშნავი ადამიანის, განუმეორებელი პიროვნების მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების გამო.

ვახტანგოველები
მიხეილ ულიანოვი.

ძვირფასო ლეილა! ძნელია დაიჯერო, რომ აღარ არის მიხეილ ივანეს ძე თუმანიშვილი, ნათელი, ნიჭიერი, ბრძენი ადამიანი. იგი იყო არა მხოლოდ საქართველოს სიამაყე, მისი შემოქმედება უზარმაზარი შენაძენია რუსეთისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც აფასებს მაღალ თეატრალურ ხელოვნებას. მისი სპექტაკლები — შედევრები — სამარადჟამოდ ჩვენთან დარჩებიან. მისი კეთილშობილი სიცოცხლე დიდხანს ექნებათ მაგალითად მომავალ თაობებს. დამწუხრებულნი ვართ თქვენთან ერთად. მსუბუქი იყოს მისთვის მიწა.

ლავროვი, ლებედევი, ფრეინდლიხი, შასილაშვილი,
ტალუბეევი და სანკტ-პეტერბურგის დიდი
დრამატული თეატრის მთელი დასი

დღეს აქტუალურია

## ყოფილი მტრები ერთ არმიაში?

სამშაბათს ვაშინგტონში გამართულ თათბირზე ბოსნია-ჰერცეგოვინაში მუსლიმანურ-ხორვატული ჯარის ერთობლივი ხელმძღვანელობის შექმნა გადაწყდა. როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა განაცხადა, მხარეები ასევე შეთანხმდნენ ლტოლვილთა სახლებში დაბრუნების პრობლემაზე.

კრისტოფერის აზრით, სწორედ ეს ფუნდამენტური საკითხები უშლიდა ხელს ორი წლის წინ შექმნილ ფედერაციაში მცხოვრებ ხალხთა შერიგებასა და დაახლოებას. ფედერაციის ერთიანი ჯარის შექმნაზე შეთანხმება მწვავე პრობლემა აღმოჩნდა, რადგან ჯარისკაცები, რომლებმაც ეს არმია უნდა შეადგინონ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

## «გამოცდები» — მაისსა და სექტემბერში

„არჩევნები ბოსნიის ქალაქ მოსტარში დათქმულ დროს — 31 მაისს გაიმართება. ასე რომ, დეიტონის ხელშეკრულება არ დაირღვევა", — განაცხადა ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა. არჩევნებში მონაწილეობისთვის აუცილებელი რეგისტრაცია არც ერთ მუსლიმანურ პარტიას არ გაუვლია, მაგრამ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, არსებობს მტკიცება, რომ სწორედ ამიტომ უნდა ჩატარდეს არჩევნები სასწრაფოდ.

ეს ფაქტი შეიძლება უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ — მუსლიმანებს არ აწყობთ არჩევნების პირობები, რომლის მიხედვითაც, ლტოლვილებმა ხმა უნდა მისცენ არა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არამედ ბოსნიის იმ ნაწილში, სადაც ისინი, ომის გამო, იძულებით გადასახლდნენ. მათი ლიდერები აცხადებენ: „ნუ მოელით აქ მშვიდობას მანამ, სანამ ყველა ლტოლვილი მუსლიმანი, და არა მხოლოდ ისინი, არ დაუბრუნდებიან მშობლიურ ადგილებს".

მსოფლიო საზოგადოებას ისღა დარჩენია, ან დაეთანხმოს იმას, რომ ბოსნიაში სამი სწორუფლებიანი ხალხიდან რომელიმე პრივილეგირებულია, ან დაჟინებით მოითხოვოს არჩევნების ზემოაღნიშნული პირობების დაცვა და „ჩაბარების გამოცდა" — მაისში მოსტარში, სექტემბერში კი — მთელ ბოსნიაში, როცა ხელისუფლების ახალი ორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს.

პერსონა

## უილიამ კოლბი: მითები და სინამდვილე

როგორც უკვე გაუწყეთ, ტრაგიკულად დასრულდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ყოფილი დირექტორის უილიამ კოლბის სიცოცხლე — ათდღიანი ინტენსიური ძებნის შემდეგ მისი გვამი აღმოაჩინეს მდინარე ვიკომიკოს შლამიან მეჩეჩში.

ქვეყნის პრეზიდენტი ბილ კლინტონი ამერიკული დაზვერვის ვეტერანის სიკვდილს გამოეხმაურა განცხადებით, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უილიამ კოლბი ასრულებდა საკვანძო როლს აშშ-ის დაზვერვითი გაერთიანების ჩამოყალიბებაში".

პოლიციამ დააფიქსირა, რომ ისეთ გამოცდილ ნიჩბოსანს და მენავეს, როგორიც კოლბი იყო, მდინარეზე უბედურება შეემთხვა. როგორც ჩანს, მან გადააფასა თავისი ძალები, როდესაც აპრილის წვიმების შემდეგ უჩვეულოდ ადიდებულ მდინარეზე ჩვეულებრივი, „ტრადიციული" გასეირნება გადაწყვიტა.

შესაძლოა, ოფიციალური ვერსიით „უკმაყოფილონი" არიან იმ მოსაზრების დამცველნი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ცსს-ს ყოფილი დირექტორი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ერთ-ერთი ჰიპოთეზა იმასაც კი გულისხმობდა, რომ კოლბი იყო უკანასკნელი ორმაგი საბჭოთა აგენტი, რომელიც გაქრა ან ლიკვიდირებულ იქნა, ვინაიდან მხილების საფრთხე ემუქრებოდა.

შეთქმულების მეორე ვარიანტის მომხრენი კი ამტკიცებენ, რომ კოლბი გააუვნებელყვეს ვიეტნამელებმა, რადგან მათ ვერაფრით აპატიეს ამერიკული დაზვერვის ყოფილ შეფს ის როლი, რომელიც მან პროგრამა „ფენიქსის" შექმნასა და განხორციელებაში შეასრულა (ამ პროგრამით შეფერხდა პარტიზანების კავშირი სამხრეთ ვიეტნამის სასოფლო კომუნებთან).

ასეთი ფანტასტიკურ-დეტექტიური ვერსიები შეიცავენ ერთ უდავო მომენტს: ისინი მიუთითებენ კოლბის პიროვნებისა და ხასიათის არაერთგვაროვნებაზე, ახლობელი ადამიანების მიერაც კი მის სხვადასხვაგვარ აღქმაზე. თუ მათ ერთ ნაწილს დავუჯერებთ, კოლბი შემთხვევით მოხვდა დაზვერვაში. „მას სულაც არ მოსწონდა შპიონაჟი", — განაცხადა გაზეთ „ნიუსუიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში კოლბის ერთ-ერთმა ყოფილმა თანაშემწემ. სხვები კი მიიჩნევენ, რომ მას უყვარდა თავისი საქმე და დაზვერვისთვის იდეალურ ტიპს წარმოადგენდა - იყო უსახური, შეუმჩნეველი, სავსებით მოწესრიგებული ადამიანი, რომლის გარეგნული სახის დამახსოვრება ძალზე ძნელი იყო, ერთი სიტყვით, იგი ძალზე ჰგავდა გრემ გრინის რომანის გმირის მსგავს „წყნარ ამერიკელს".

უილიამ კოლბი ამერიკის სპეცსამსახურის წამყვან თანამშრომელს წარმოადგენდა საფრანგეთში, იტალიაში და ორჯერ ვიეტნამში. 1973 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელიც უკვე „უოტერგეიტის სკანდალის" ქსელში იყო გახლართული, იგი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორად დანიშნა. მაგრამ მოგვიანებით თეთრმა სახლმა „შერისხა" კოლბი, რადგან დაზვერვის უწყების ხელმძღვანელი სიამოვნებით უყვებოდა კონგრესის საგამოძიებო კომიტეტის წევრებს ცსს-ის ბინძური საქმეების შესახებ. კოლბის წასვლის შემდეგ „რუხი კარდინალის სავარძელი" ჯორჯ ბუშმა დაიკავა, რომელიც 12 წლის მოგვიანებით ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, თავად „შერისხულმა" კი თავისი აღიარება მორალური მოსაზრებით ახსნა და დასძინა, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი „თავგამოდებული კათოლიკე" იყო.

ცსს-დან დათხოვნის შემდგომი ოცი წლის მანძილზე კოლბი მისდევდა იურიდიულ პრაქტიკას ვაშინგტონში. მიმდინარე წელს მან თავის ყოფილ მოწინააღმდეგესთან, КГБ-ს გენერალ ოლეგ კალუგინთან ერთად თავისივე როლი შეასრულა ახალ ელექტრონულ თამაშ „სპაიკრაფტში".

კოლბის ქვრივმა სალი შელტონ-კოლბიმ ქმრის გვამის ამოცნობის შემდეგ განაცხადა, რომ მისი ქმარი „იბრძოდა ფაშიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ და იცოცხლა იმ დღემდე, როდესაც დემოკრატიამ მთელ მსოფლიოში მოიკრიბა ძალა".

## „ბანდიტების დედოფალი" — პარლამენტში

პარლამენტის დეპუტატებად ხანდახან ფრიად ექსტრავაგანტული პიროვნებები გვევლინებიან. გავიხსენოთ თუნდაც იტალიელი პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა.

ინდოეთში სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებულ არჩევნებსაც საინტერესო სიურპრიზი მოჰყვა. არჩევნების შედეგების შეჯამება და ხმათა დათვლა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე დანამდვილებით ცნობილია, რომ ფულონ დევიმ პარლამენტში ადგილი მიიღო. ქალბატონ დევის „ბანდიტების დედოფალსაც" უწოდებენ. ამჟამად იგი ერთ-ერთი პარტიის ლიდერია.

გუშინ „ბანდიტების დედოფალმა" განაცხადა, რომ გამოიყენებს ახალ ადგილსა და თანამდებობას ინდოეთის უღარიბესი ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იგი თავის უპირველეს საზრუნავად სკოლების აშენებასა და ღატაკების საცხოვრებელი სახლების წყლითა და ელექტროგაყვანილობებით უზრუნველყოფას მიიჩნევს.

ფულონ დევი ინდოეთის ყველაზე დაბალი კასტის წარმომადგენელი იყო. 11 წლის ასაკში იგი მასზე სამჯერ უფროს მამაკაცს მიათხოვეს. მისი ცხოვრება სავსე იყო თავგადასავლებითა და მოულოდნელი მოვლენებით. „ბანდიტების დედოფალი" ინდოეთის უმაღლესი კასტის 22 წევრის მკვლელობაში დაადანაშაულეს. სწორედ მაშინ გაიგო მისი სახელი მსოფლიო საზოგადოებამ. მან 11 წელი ციხეში გაატარა, გათავისუფლების შემდგომ მეორედ გათხოვდა და ჩაგრულთა ინტერესების დამცველი იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა.

„ბანდიტების დედოფალმა" გამარჯვება მოიპოვა მეჯგაპურის საარჩევნო ოლქში, რომელიც ქვეყნის უღარიბესი შტატია.

ელიტა

## სტუმრად დედოფალთან

ორშაბათს ინგლისში ოფიციალური ოთხდღიანი ვიზიტით ჩავიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მეუღლითურთ. ამჯერად, შირაკი და მისი მეუღლე დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის სტუმრები არ არიან. მათ ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ მეორე მასპინძლობს. სხვათაშორის, ამგვარი დაფასება ადრე მხოლოდ გენერალ დე გოლსა და ფრანსუა მიტერანს ხვდათ წილად. გუშინ ბუკინჰემის სასახლეში „პარიზელთა" პატივსაცემად გაიმართა კიდეც ბანკეტი, რომელზეც საფრანგეთის მეთაურმაც და ინგლისის დედოფალმაც აღნიშნეს, რომ აქტიურად დაუჭერენ მხარს ორ ქვეყანას შორის მეგობრობას და ინგლისის ტრადიციული გავლენის შენარჩუნებას ევროპაში.

სირთულეთა მიუხედავად, საფრანგეთი და ბრიტანეთი ყოველთვის ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას", — ამ სიტყვებით მიმართა დედოფალმა ელიზაბეტმა საფრანგეთის პრეზიდენტს.

„ურთიერთობები ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, როგორც დედოფალმაც აღნიშნა, გარკვეულ პერიოდებში ისინი საკმაოდ დაძაბული იყო. ამჟამად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ბრიტანული ხორცის იმპორტის აკრძალვა", — თქვა თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა.

შირაკი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ჯონ მეიჯორსაც ესაუბრა ხორცის „კრიზისის" საკითხის შესახებ. მათ განიხილეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტებიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, ევროპული სტრუქტურების განმტკიცებას ემსახურება.

იყიდეთ რამე?

## დაფიქრდით, ვიდრე გადაიხდით!

პირველი გვერდიდან

— სააქციო საზოგადოება „მერკური-92"-ის (ყოფილი №1 მაცივარი) ბაქანზე იყიდებოდა ფირმა „კრედოს" (პრეზიდენტი მ. ლორია) კუთვნილი თევზი „გარბუშა", ფერშეცვლილი, კანქვეშა ცხიმის ამძაღების ნიშნებით (პროდუქცია მოიხსნა ვაჭრობიდან).

— ამავე ბაქანზე იყიდებოდა მარჯანიშვილის თეატრის კომერციული ცენტრის (პასუხისმგებელი რ. ბუაძე) სასაქონლო საეჭვო ორგანოლეპტიკური მახასიათებლების მქონე კანადური ქათმის ბარკლები (პროდუქცია მოიხსნა ვაჭრობიდან).

— ამავე საზოგადოების მეორე სამაცივრო საკანში ინახებოდა ამხანაგობა „ანის" (პრეზიდენტი ე. შერმაზაშვილი) კუთვნილი თევზი „ქაფქყინა", გროვების სახით, შეფუთვის გარეშე.

— №5 სამაცივრო საკანში 5 გრადუსზე (ნაცვლად 18 გრადუსისა) ინახებოდა სარეალიზაციოდ ვადაგასული თევზი „სკუმბრია", დამზადებული 1995 წელს მურმანსკში. თევზი ხელახლა გაყინვისა და გალღობის გამო არასტანდარტულ კატეგორიაში იყო.

— ნაძალადევის რაიონში მაღაზია „თათია" (დირექტორი მ. გორიძე) გაყიდვაში იყო სარეალიზაციო ვადაგადაცილებული, დამძაღებული სუნის მარგარინი „ევინი", გამოშვებული 1995 წლის ოქტომბერში.

■ განუკითხაობაა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, ლიცენზირების, მარკირების და რეალიზაციის კუთხით.

— ამოიღეს რეალიზაციიდან შპს „გუბაზის" (დადიანის ქ.№39) სავაჭრო ობიექტიდან ღვინო „ხვანჭკარა", ღვინო „კახეთი", დამზადებული ფირმა „სამგორი-94"-ის მიერ.

— ფირმა „გრემიდან" (ზაარბრიუკენის მოედანი №3) მოიხსნა ღვინო „რქაწითელი", ჩამოსხმული „კოდაკოს" მიერ.

— მღვრიე, ფალსიფიცირებული სასმელებით ვაჭრობდა შპს „ტერმინალ-პორტი-დიდუბეს" მაღაზიები. აქ გამოფენილი „სამტრესტის" ეტიკეტებით დამშვენებული „ქინძმარაულის" და „ხვანჭკარას" არაფერი ჰქონდა საერთო ამ სახის ღვინოებთან.

ლაბორატორიული დასკვნები ადასტურებენ, რომ ეს ღვინოები ფერით, გემოვნური თვისებებით და ქიმიური შემადგენლობით არ შეესაბამებიან ეტიკეტზე მითითებულ მარკას; გარდა იმისა, რომ ისინი არ პასუხობენ სტანდარტებს, ბევრი მათგანის გამოყენება ჯანმრთელობისთვის საზიანოა:

— კორპორაცია „მზიას" ობიექტში ამოღებული არაყი „თავადური"-ს ქიმიური ანალიზისას აღმოჩნდა, რომ არაყში ჯანმრთელობისთვის საშიში მეთილის სპირტის შემცველობა 8-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

■ თითქმის ყველა შემოწმებულ ობიექტში უხეშად ირღვევა კვერცხის შენახვის წესები. ყუთები აწყვია პირდაპირ ცემენტის იატაკზე, არ მუშაობს მაცივრები (კვერცხი 5 გრადუსზე უნდა ინახებოდეს) და შენახვის ცუდი პირობების გამო ინტენსიურად ხდება კვერცხის ხარისხის დაცემა.

წარმოდგენილი სერთიფიკატები, ძირითადად, თურქულენოვანია.

აღდგომის დღესასწაულის შემდეგ რეალიზაციის გარეშე დარჩენილი ვადაგასული კვერცხის რეალიზაცია რეალურ საშიშროებას ქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის.

■ როგორც შემოწმების მასალებიდან ჩანს, სრული ქაოსია სავაჭრო ობიექტებში საზომ-საწონი ხელსაწყოების გამოყენების კონტროლის საქმეში. — №8 სასურსათო მაღაზიაში, მაღაზია „თამთაში", შპს „შავ გედში" — არ ფუნქციონირებს სასასწორო მეურნეობა, გამყიდველები ვაჭრობისას იყენებენ საკუთარ სასწორებს და საწონებს.

■ „თბილტესტის" სპეციალისტებმა მიერ გამოვლინდა ფალსიფიცირებული „ბორჯომის" რეალიზატორები:

— № 10 სასურსათო მაღაზიიდან 2600 ბოთლი;

— შპს „ნატო"-დან — 560;

— შპს „მგელი"-დან — 640 და სხვ.

დაგვეთანხმებით, ფაქტები მართლა საგანგაშოა და სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან საქმე გვაქვს ადამიანის ჯანმრთელობის შერყევასთან.

გაზეთმა „კავკასიონმა" გადაწყვიტა „თბილტესტთან" მჭიდრო ურთიერთობის შედეგად, ყოველ კვირაში გამოაქვეყნოს იმ უხარისხო პროდუქციის ნუსხა, რომელსაც ეს ორგანიზაცია აღმოაჩენს. ამასთან სისტემატურად შემოგთავაზებთ კომპეტენტური პირების საუბრებს, რომელიც შეეხება დარღვევებს, რაც სერთიფიცირების სფეროში ელინდება.

მოამზადეს

**მაია ტორაძემ**
**დიანა გაბროშვილმა**

P.S. გაზეთი „კავკასიონი" მადლობას უხდის თბილისის მერიასთან არსებული სახალხო მოხმარების საქონლის უსაფრთხოების, ხარისხის და გაზომვის საშუალებათა ტესტირების ცენტრს „თბილტესტს" — მასალების მოწოდებისთვის.

## საქართველოს რესპუბლიკის სტუდენტი-ახალგაზრდობის შეკრებამ, რომელიც 1996 წლის 11 მაისს ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით, დაადგინა:

ეთხოვოს: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ **ზურაბ ჟვანიას**;

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს ბატონ **ნიკო ლეკიშვილს**;

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ქვეკომისიას.

1. შეიქმნას „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის მშენებლობის მიზანშეწონილობის, მისი დაფუძნების შედეგების პროგნოზირების შემსწავლელი საპარლამენტო და სამთავრობო შერეული კომისია, რომელშიც შევლენ საქართველოს რესპუბლიკის სტუდენტი-ახალგაზრდობის შეკრების წარმომადგენლებიც.

2. აღნიშნული კომისიის დასკვნა გახდეს საპარლამენტო განხილვის საგანი და მხოლოდ პარლამენტის კომპეტენტური დადგენილების საფუძველზე გადაწყდეს „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის დაარსების ან არდაარსების საკითხი.

3. „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის დაარსების ან ამ იდეის უარყოფის საქმეში, საქართველოს ხვალინდელი დღის, სტუდენტი-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის მიზნით მოეთხოვოთ: წარედგინოს უახლოეს 2-3 კვირის განმავლობაში ზემოაღნიშნულ შეკრებას შემდეგი დოკუმენტები:

ა) ანალოგიური უნივერსიტეტების სხვა სახელმწიფოებში არსებობის დამადასტურებელი მასალები.

ბ) „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის საქართველოში გახსნის აუცილებლობის მეცნიერული დასაბუთება.

გ) აღნიშნული უნივერსიტეტის მშენებლობის გენერალური და განვითარების პერსპექტიული გეგმა.

დ) აღნიშნული უნივერსიტეტის სასწავლო მეთოდური გეგმები.

ე) არქეოლოგების, გეოლოგების, ეკოლოგების, საპატრიარქოს და ისტორიკოსების დასკვნა.

ვ) საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს დასკვნა.

ზ) ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა დასკვნა.

თ) საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დასკვნა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასე მომრავლებული უმაღლესი განათლების კერებისა და თვით „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

ი) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დასკვნა-გარანტია უკვე არსებული უმაღლესი სასწავლებლებისა და „ქართულ-თურქული" უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სპეციალობის მიხედვით სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის შესახებ.

კ) დუშეთის რაიონის დღევანდელი დემოგრაფიული მონაცემები და მისი მდგომარეობის პროგნოზი უახლოესი 10-15 წლის შემდეგ.

## პრესმერიდიანი

…1991 წლის მაისი იყო. როგორც …თვის, გვიან ბრუნდებოდი შინ. …ამ დროს მანქანაში გორბაჩოვმა … მითხრა, რომ ნაუკითხავს …ის კომიტეტის ვაშინგტონიდან …ული ინფორმაცია კავშირის მომა… …ლის და იმის შესახებ, რომ ჩვენ … ცუდად გვაქვს საქმე; ბოლოს … ფრაზა ისროლა: „ვის სჭირდება … ასე დადაბა?"

…ეგორი ნებართვა ბინაში მისულს …ა, რათა უფრო საიმედო ვითარე… მიმეცა ზოგიერთი განმარტება ნა…ულ დეპეშასთან დაკავშირებით. „რა …ობა, დამირეკე", — უკმაყოფილოდ …ასხა იგი.

…ნ მივედი თუ არა, დავურეკე და …ხენე, რომ ინფორმაცია უტყუარია, …ულია საიმედო წყაროსგან. საქმე … საბჭოთა კავშირში შექმნილი სი…ის შეფასებას დასავლელი, მათ …ის, ყველაზე მაღალი თა… ამერიკელი მო…ების მიერ და იმას, … მათი რწმენით, გარდუ… ახლოვდება საბჭოთა …რის აღსასრული. თა… ყოველივე ეს უახლოეს … მოხდება.

…მერე, შენ გჯერა ეს? …ყველაფერი სარწმუნოა, … ლაპარაკობენ?!" — მი… გორბაჩოვმა არაბუნებ… უკმაყოფილებით.

…სიამოვნებით არ დავი…, მაგრამ ინფორმა…ურადღების ღირსად მი… ამაში მარწმუნებს ბე…ხვა, მათ შორის, აგენ… ცნობა, და რაც … — მთელი ჩვენი …", — შევეპასუხე.

…იგი, რას გეტყვი, ხელო… ნუ ძაბავ ვითარებას, „ნუ აყვები პანიკას!" — … მან.

…მეორე დღეს კვლავ და… ამ საუბარს, მინ… გამეგრძელებინა, მაგ… ჩამკმენდინა: „უამ… საქმე მაქვს, მოდი, მო… ვილაპარაკოთ".

…ბლოებით ერთი საა… შემდეგ მთხოვა მასთან …ლიყავი. თან წავიღე დე…ური რამდენიმე ანა…ური ცნობა და 10 ნუ… იყო გასული, რომ სკკპ …რალურ კომიტეტში, მის კაბინეტ… …ყავი.

…ელში დოკუმენტებიანი საქაღალდე … დაინახა, გორბაჩოვმა მითხრა, „ნუ …, შენთან ერთი სრულიად კონკრე… … კითხვა მაქვს". მერე ადგა, სადღაც … გაიხედა, და მკითხა: „რა ფაქტი… …ქმნილი სტავროპოლის მხარეში ჩემი …ის ირგვლივ?"

… უპასუხე, რომ კონკრეტულად … ვიცი. „უნდა გაარკვიო, ვინ …ხავს ეს, საიდან მოდის. მოშურნე, …ლი ბევრი მყავს. სიამოვნებით გა… …ნენ სახელს, რომ შეეძლოთ", — …ად კითხვის და ნახევრად მოთხოვ… …ხრით დაასრულა მან. ცოტა ხანს …, მერე საქაღალდე ვუჩვენე და …, როდის დავუბრუნდე-მეთქი ამ …მენტებს. „მოგვიანებით", — მიპასუხა … გაურკვევლად.

…ორბაჩოვი საბოლოოდ დაადგა კავ… … ნგრევის გზას, საზოგადოებრივ-პო…ური სისტემის რღვევის გზას, პო…ური ასპარეზიდან კომპარტიის ჩა…რების გზას, პარტიისა, რომელიც იმ …ბებში სტაბილიზაციის ერთადერთი …რი იყო. იმ დროისთვის გორბაჩოვს … სჭირდა პარტია, და პარტიასაც …და იგი. ყველაფერი, რაც იმ დროს …და ქვეყანაში, მის ჩანაფიქრს შეე…ბოდა. მოვლენები ვითარდებოდა მი…ნარით ან იმ გეგმით, რომელსაც …ეთანხმა, და ამიტომაც არ აპირებდა …ღვმოდა მიმდინარე პროცესებს. 1991 წლის ზაფხულის დამდეგს გორბაჩოვი, იაკოვლევი, შევარდნაძე, ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი და „დემოკრატიული მოძრაობა" ქმნიდნენ უკვე იმათ წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტს, ვინც ცდილობდა დაეცვა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ინტერესები, გამოდიოდა ქვეყნის ეკონომიკის შენარჩუნებისა და მართვის ბერკეტების სრულყოფისთვის, ვისაც კვლავინდებურად ენადა ყოფილიყო საბჭოეთი ზესახელმწიფო.

ლაპარაკობენ, პარტიის წევრები იმ დროს დაიბნენო. აბა, როგორ არ დაიბნევი ისეთ სიტუაციაში, როდესაც ლიდერი ადგას პოზიციას, რომელსაც პარტია და მისი წევრების უდიდესი უმრავლესობა არ იზიარებენ, ვინაიდან იგი სრულიად არ შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს? როგორ არ დაიბნევი, როდესაც პარტიის ლიდერი მოგიწოდებს დასცხო პარტიის შტაბებს, როდესაც თავის პირით ყველა ცოდვას პარტიას,. აბრალებს და ისე გამოყავს საქმე, თითქოს პარტიის ბრალი იყოს, რომ ვერ უწყობს ფეხს თავისი ხელმძღვანელის მალაყებსა და პირუეტებს?

უნდა გენახათ, როგორ მოსდიოდა გული გორბაჩოვს, როდესაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვინმე გაბედავდა და შეეპასუხებოდა გენერალურ მდივანს, რათა შეეჩერებინათ ქვეყანა, რომელიც უფსკრულისკენ მიექანებოდა.

იმ სერიოზული შეცდომების, ხარვეზებისა და გადახრების მიუხედავად, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობამ დაუშვა საბჭოთა ხელისუფლების დაბადებისა და არსებობის პერიოდში, მისი საქმიანობის დადებითი მომენტები უდავოდ გადასწონიდა უარყოფითს, რადგანაც განმსაზღვრელი იყო: ოქტომბრის რევოლუცია, გამარჯვება სამოქალაქო ომში, ნგრევის დაძლევა, დიდი სამამულო ომის მოგება, ომით გაპარტახებული მეურნეობის სწრაფი აღდგენა, მრეწველობისა დ სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის განვითარება და, საბოლოო ანგარიშით, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ჩამორჩენილი მეფის რუსეთიდან, როგორიც იყო 1917 წლამდე, დიად მძლავრ სახელმწიფოდ. ყოველივე ამაში უცილობელი ღვაწლი მიუძღვის პარტიას, მის ათეულ მილიონობით წევრს, რომლებიც უცვლელად იდგნენ ბრძოლის წინა ხაზზე.

მასობრივი ინფორმაციის „დემოკრატიულ" საშუალებათა პროპაგანდის წყალობით ისეთი მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები, როგორიცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრიობა, სამშობლოს ერთგულება — თავდასხმებისა და აშკარა გაბიაბრუების ობიექტად იქცა. კავშირის, სახელმწიფოს მთლიანობის მხარდამჭერ გამოსვლებს გაშმაგებით ხვდებოდნენ. ერთხელ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გორბაჩოვს ასეთი დამცინავი ფრაზაც კი აღმოხდა: „გამომივიდნენ აქ ურაპატრიოტები!"

ქვეყანაში შექმნილი საერთო ვითარების გავლენით, დამაქცევარმა ძალებმა რელიგიის სფეროშიც კი იწყეს მოქმედება. გააქტიურდნენ ნაირ-ნაირი, თავის დროზე აკრძალული სექტები, მართლმადიდებლობა თანდათან გადადიოდა უკანა პლანზე, კარგავდა პოზიციებს, განსაკუთრებით — ქვეყნის დასავლეთ ოლქებში. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა მისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ისეთი ნიშან-თვისება, როგორიც არის კონსერვატიზმის, აგრეთვე კულტურის, მეცნიერების, სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების სფეროში სიახლის აღუქმელობისა და უგულებელყოფის მიდრეკილება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უდიდესი ნაწილი მოექცა „დემოკრატიული ძალების" გავლენის ქვეშ, გადაიქცა მათ სამკვიდროდ და არსებითი წვლილი შეიტანა დამანგრეველ პროცესებში. კავშირის, მისი მთლიანობის დასაცავად სტატიის გამოქვეყნება პრობლემად იქცა. ჩვენი ისტორიის ბევრ უმნიშვნელოვანეს მხარეს გაუკუღმართებულად წარმოსახავდნენ: თურმე, ნუ იტყვით, რა კარგად უცხოვრია ხალხს მეფის რეჟიმის დროს 1917 წლამდე, და რა ცუდი ცხოვრება დამდგარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებს წარმოსახავდნენ როგორც ერთ მთლიან შავბნელ ხანას. ანტისაბჭოელებმა დიდ სამამულო ომში გამარჯვებაზეც კი აღმართეს ხელი და ამტკიცებდნენ, რომ ლამის საბჭოთა კავშირმა თვითონ გამოიწვია პროვოკაციულად ომის დაწყებაო. გამარჯვებებს, რომლებითაც ჩვენ ვამაყობდით, წარმოსახავდნენ ისეთ ბრძოლებად, რომლებშიც წარმატებას ვაღწევდით მხოლოდ განუზომელი მსხვერპლის ფასად. ზურგის მუშაობას აუკუღმართებდნენ, თალხ ფერად ხატავდნენ: მილიონობით ადამიანის დაძაბული, თავდადებული შრომა, მათი მისწრაფება — შეეტანათ წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში, თურმე მხოლოდ და მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმის მხრივ იძულების შედეგი ყოფილა.

ამასობაში კი ვითარება სულ უფრო მეტად იძაბებოდა. შეშფოთებას იწვევდნენ უკიდურესი ექსტრემისტული ძალები, რომლებიც დაუფარავად მოუწოდებდნენ ხალხს კრემლისა და ლუბიანკის დასალაშქრად. სულ უფრო ხშირად გაისმოდა უმაღლესი ხელმძღვანელობის პირდაპირი მუქარაც, უტევდნენ თვით პრეზიდენტსაც.

ცხადი იყო, რომ მოვლენათა განვითარების თვითდინებაზე მიშვება არ შეიძლებოდა. მშვიდობიანი მოგვარების იმედი იწურებოდა — დღითი დღე სულ უფრო იძაბებოდა ვითარება, ხოლო დამანგრეველი მიმართულებით მოქმედი ექსტრემისტული ძალები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სხვადასხვა დონის სახალხო დეპუტატებიც, აქტიურად განაგრძობდნენ ცეცხლზე ნავთის დასხმას.

## ვლადიმერ კრიუჩკოვი
## «პირადი საქმე»


ქვემოდან შესცქერიან კრემლის ტრიბუნას შერისხული კრიუჩკოვი და ლუკიანოვი.

ამას წინათ, გაზეთმა „პრავდა როსიი" გამოაქვეყნა ფრაგმენტები ვლადიმერ კრიუჩკოვის წიგნიდან „პირადი საქმე". „პრავდა როსიი" რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანოა და, როგორც „პრავდის დამატება, ხუთშაბათობით გამოდის. გაზეთის ორიენტაციაზე და მიმართულებაზე კარგად მეტყველებს საზოგადოებრივი სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა: თავმჯდომარეა გენადი ზიუგანოვი, წევრები არიან მწერალი იური ბელოვი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი გენადი სელეზნიოვი და სხვები.

რაც შეეხება ვლადიმერ კრიუჩკოვის პიროვნებას, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საკმარისი იქნება, თუკი შევახსენებთ, რომ იგი 1988-1991 წლებში სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

მოყვანილ ფრაგმენტებში მკვეთრად არის წარმოჩენილი ავტორის პოლიტიკური კრედო, რომელიც რაც არ უნდა დიდი იყოს მცდელობა, შეიძლება ითქვას, რომ რესტავრაციას აღარ ექვემდებარება. და მაინც, მიუხედავად მოვლენათა ხედვის რაკურსისა, მიგვაჩნია, რომ მკითხველისთვის ეს ფრაგმენტები უთუოდ საინტერესო იქნება, რადგან მათში იკითხება ჩვენი უახლესი ისტორიის ნიუანსები, კრემლის კულუარული ურთიერთობები სსრკ-ს რღვევის პერიოდში.

||

კიდევ უფრო საგანგაშო ინფორმაცია შემოდიოდა უშიშროების კომიტეტში ოპერატიული არხებით. კონტროლის განხორციელების, კერძოდ, ფარული მეთვალყურეობის დროს, კონკრეტული ოპერაციული სამუშაოების პროცესში ჩვენი თვალთახედვის არეში ხვდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენელი პირები, რომელთა ზრახვები და მოქმედება აშკარად ისახავდა მიზნად საზოგადოებრივი წყობის ნგრევას, სახელმწიფოებრიობის, მართლწესრიგის დასუსტებას, კავშირის რღვევას. მათი მოქმედება იმდენად სერიოზული და საშიში იყო, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს არ ჰქონდათ უფლება უყურადღებოდ დაეტოვებინათ ისინი.

1988 წლის ბოლოდან და 1989 წლის დამდეგიდან მოყოლებული, ანტისაბჭოური საქმიანობის მასშტაბმა საკმაოდ ფართო და საშიში ხასიათი მიიღო. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო სრული დაუსჯელობა, აღვირახსნილობა, კანონების უმოქმედობა. მაგრამ ცხადი იყო მეორე დასკვნაც — ექსტრემისტულ მოქმედებას ვიღაც-ვიღაცეები აღვივებდნენ, ასაზრდოებდნენ, აქეზებდნენ ზემოდან, რაც, რა თქმა უნდა, გვიძნელებდა მათთან ბრძოლას.

შეიმჩნეოდა ექსტრემისტული ძალების აშკარა თუ ფარული ურთიერთგაგება და ურთიერთმოქმედება მაშინდელი ხელმძღვანელობის წევრებთან — ა.იაკოვლევთან, ე.შევარდნაძესთან. სხვა რომ არაფერი ვთქვა, უმოქმედოდ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ.მედვედევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე ვ.ივაშკო და ზოგიერთი სხვა, შედარებით დაბალი რანგის პირნი. ამ ადამიანებს თავის მხრივ „საიმედოდ" უმაგრებდა ზურგს გორბაჩოვი.

უკვე იმ წლებში აშკარად ჩანდა შეუსაბამობა გორბაჩოვის სიტყვასა და საქმეს შორის. პარტიისა და სახელმწიფოს დასაცავად თავგამოდება, კავშირის რღვევის დაუშვებლობა და სხვა ამგვარი მოტივები გორბაჩოვის გამოსვლებში მრავლად იყო. ეს, რა თქმა უნდა, გაბნევდა კაცს, მით უმეტეს, რომ კერძო საუბრებშიც კი გორბაჩოვი, თითქოს სახელმწიფოს დამცველის პრინციპულ პოზიციებზე იდგა, გულისწყრომას გამოთქვამდა ექსტრემისტული განცხადებისა და მოქმედების გამო, დასჯით იმუქრებოდა, მაგრამ მეორე დღეს ყველაფერს აფუჩეჩებდა, აშოშმინებდა გარემოცვას იმ სიტყვებით, რომ ექსტრემისტები სანადელს ვერ მიაღწევდნენ, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება; იხმაურებენ, იხმაურებენ და გაჩერდებიანო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## იქ, უცხოეთში

## ჟაკლინ ბისე

**იგი ცხოვრებაში არცერთ მის მიერ განსახიერებულ პერსონაჟს არ ჰგავს. ნამდვილი ჟაკლინ ბისე პატარა გოგონას მოგაგონებთ, რომელსაც ძალიან სიამოვნებს, როდესაც მისგან ინტერვიუს იღებენ.**

— **გიყვართ საუბარი?**

ადრე მეუბნებოდნენ, შენგან კარგი ჟურნალისტი გამოვაო. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ საუბრის კულტურას. თავადაც სიამოვნებით ვუსვამ სხვებს შეკითხვებს და სხვის შეკითხვასაც უფრო იოლად ვპასუხობ, როცა სწორად და გასაგებად მეკითხებიან რამეს. კარგი შეკითხვა საკუთარი თავის შეცნობაშიც მეხმარება. ძალიან ცნობისმოყვარე ვარ.

— **უკვე ნახეთ თქვენი ახალი ფილმი?**

სრულიად მარტოდმარტომ ერთხელ ვუყურე. მე ხომ ამ ფილმში მთავარ როლს არ ვთამაშობ, დიასახლისის და დედის როლს ვასრულებ. თავიდან ძალიან გამიჭირდა ამ საქმეზე ხელის მოკიდება. მაგრამ, აბა, უარს ვინ იტყვის, როცა კლოდ შაბროლი უხმობს? მე მგონი, ცოტა მეტად დამაბერეს ფილმში, თქვენ რა აზრისა ხართ?

— **რა თქმა უნდა, ეს თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არ ყოფილა, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ გამოვიდა.**

... რომ იცოდეთ, რას განვიცდიდი გადაღებების დროს. გარიყულად ვგრძნობდი თავს. წარმოიდგინეთ 50 წლის მსახიობი, რომელსაც სამოცამდე ფილმში მიუღია მონაწილეობა, უთამაშია მასტროიანისთან, ბრონსონთან, ისტვუდთან, ქუინთან, ნიუმენთან ერთად და ვინ მოსთვლის, რამდენი უშრომია, უცებ კი კვლავ ახალბედა აღმოჩენილა.

— **სუპერვარსკვლავის პირობაზე ძალიან გულწრფელი ხართ. იქნებ ეს ენობრივი ბარიერის გამო მოხდა? ფრანგული ცუდად იცით?**

— პირიქით, კარგად. მაგრამ როგორც სხვები ლაქლაქებდნენ ჩემს ირგვლივ, ისე სწრაფ-სწრაფად ვერ ვლაპარაკობ. ჯერ ერთი ეპიზოდი არ მომემთავრებინა, რომ უკვე იმაზე ვფიქრობდი, შემდეგ სცენას როგორ ჩავატარებ-მეთქი. მერე უცებ, როცა ლაპარაკის მაგივრად მოქმედებაზე მიდგებოდა საქმე, გულზე მომეშვებოდა. ხანდახან მეჩვენებოდა, შიშისგან ცუდად ვხდები-მეთქი.

— **შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი იზაბელ ჰუპერტის ფილმს მეტად ჰგავდა, ვიდრე ჟაკლინისას. რომელ ფილმებზე მუშაობამ მოგანიჭათ ყველაზე დიდი სიამოვნება?**

ძნელი სათქმელია. უზომოზარი სიამოვნება განვიცადე ბელმონდოსთან ერთად ფილმზე „შესანიშნავი" მუშაობისას. ამ ფილმში ორმაგ



როლს ვთამაშობდი — ლიტერატურაზე შეყვარებული სტუდენტი გოგონისა და საბედისწერო ქალისას ერთად. ეს 23 წლის წინ იყო. ... იშვიათი საოცრებაა. მას ... შეუძლია ივარცხნოს თმა, ... ყავა, ერთი ადგილიდან მეორეზე იხტუნოს და ისროლოს ... ხელები არ ასვენებს. მე მას მაშინ ვეკითხებოდი, ავად გახდომა თუ წარმოგიდგენია-მეთქი. მისი მსგავსი ტიპი ... არ შემხვედრია...

— **კარგ ტიპებს რაც შეეხება, საიდუმლოდ ცოტა რამ თუ დარჩება ხოლმე. რაღაც თქვენი ბევრად ახალგაზრდა მეგობარიც აღარსად ჩანს. ამბობენ, სემინარი აქვს აღმოსავლურ ბრძოლებში და მედიტაციაშიო. როგორ გრძნობთ თავს თქვენს თურქ „ბრიუს ლისთან?"**

ჩვენ ან ერთად ვმოგზაურობთ ..., ან რომელიმე ქვეყანაში ... ხოლმე ერთმანეთს. ემინი ... მსახიობსაც წვრთნის, მაგალითად, ... რურკს. იგი ძალზე არაორდინალური პიროვნებაა, ძალიან ღრმა ... დაიბადა, შემდეგ სხვა ... თურქის მსგავსად გერმანიაში წავიდა საცხოვრებლად, მამამისი ... იყო. მე შეგნებულად ვტკბები ... ვცდილობ, არცერთი შემთხვევა არ გავუშვა ხელიდან.

— **რას ანიჭებთ ყველაზე დიდ მნიშვნელობას სიყვარულში?**

... არ უნდა გაფლანგოთ. ყველაფერით, რაც გაქვთ, მაქსიმალურად უნდა ისიამოვნოთ. ვინ იცის, ხვალ რა მოხდება. ყველა წამს უნდა ჩაებღაუჭო. ზოგიერთები მოგვიახლოვდებიან ... ხოლმე, თუკი რამე დაიკლეს, ან ხელიდან გაუშვეს. მიმხვდით არა, რას ვგულისხმობ?

თარგმნა

**ნათია ფანჯიკიძე**

„ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები უველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზაში.
მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი".
ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00

## პრემიერა

## «რა გაცინებს?!» — სატელევიზიო პრემიერის წინ

…ერთი კვირის წინ რუსთაველის …ადობასთან არსებულ კულ…ურ ცენტრ „გულანშაროში" კი…ერთი შეხვედრა გაიმართა. რეჟი…ს თემურ ბუტიკაშვილმა და შე…მოქმედებითმა ჯგუფმა იქ შეკრებილ …ზოგადოებას ახალი სატელევიზიო …ფილმი „რა გაცინებს?!" წარუ… (სცენარის ავტორი აპოჟინაძე …ხედველოს მოთხრობის მოტი… ოპერატორი ბ.სულამანიძე, …რი ვ.ჩალაძანია, პროდუსერი …ოდნაძე, შემსრულებელი პრო…ი აკიზირია).

…პრემიერას უხდება მილოცვები, … სიტყვები, ალოდიმენტები, …მ ამ კონკრეტულ შემთხვევაში …ოლოდ ტრადიციული რიტუ…ების ხარკის მოხდა არ იყო. ამ …ს 40-წუთიანმა ფილმმა შეძლო …ტად აღელვებინა თავისი …ტორია, ეს კი, დამეთანხმებით, რაღაცას ნიშნავს …ცოტა ცოტას.

…ფილმი ერთი პატარა ოჯახის ისტორიას მოგვი…ბს. მოხუცი ბებია და ბაბუა მარტონი ზრდიან …შვილს. ღამღამობით ოჯახის უფროსი, პა…ებული მათემატიკოსი ბატონი დიმიტრი (გოგი …კორი) სიზმარში მხიარულად ხარხარებს და …რებს, რითაც საგონებელში აგდებს თავის მეუ… ქალბატონ მარიკოს (მედეა ჩახავა) და საკუ…ვსაც.

…მართლაც და, რა აცინებს?! მათაც ხომ, რო…ჩვენ, სცივათ, შიათ, შიშით შეჰყურებენ ხვა…ელ დღეს და თანაც მოუწყელებელი პირადი …ვთ აწევთ გულზე ლოდივით. მაგრამ ფილმი …ზობაო ზღაპარია. ამიტომ ყველაფერი კარ…ება: სიცილის მიზეზიც გაირკვევა, ქალბატონი …ც დაწყნარდება და, როგორც ზღაპარს უხ…ჩვენი გმირების ოჯახშიც ჯადოსნური ჯოხის …ქნევით მოვა სითბო, სინათლე, სიუხვე და, …ცვარია, დაბრუნდება სიხარული.

…მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. მთავარი … ფონი, რომელზეც ფილმის ძირითადი სიუჟე…ზე ვითარდება. ეს ფონი კი ჩვენი დღევან…ფუფაა. რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, …ფონი, თუმცა საკმაოდ აქტური, არსად გადა…ოვემიზანში, პუბლიცისტიკაში, არ ტოვებს …თვის ნაცნობი ფაქტების ილუსტრირებისა და



ლია ჭრილობაში ჩხირკედელაობის გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას.

ფილმის შემდეგ გამოსვლებში, გადაღების უშუალო მონაწილეთა სიტყვებში ხშირად ჟღერდა ფრაზები: „მეშინოდა", „არ ვულოდი"... მართლაც, ვინც იცნობდა სცენარს, მათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რა სახეს მიიღებდა საბოლოოდ ფილმი და მისი ეკრანული ეფექტი მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. რეჟისორის უდავო დამსახურებაა, რომ მან შეძლო, განევრცობა სცენარის პოტენცია, სული შთაებერა მისთვის, მშრალი დიალოგები თუ სცენები ცხოვრების, ადამიანური გრძნობების სუნთქვით გაეცოცხლებინა და ფილმში შექმნა მკაცრი, სევდიანი, მაგრამ მაინც თბილი და ღიმილიანი ატმოსფერო.

ეს განწყობა მაყურებელსაც გადაეცემა და თუმცა ფილმის მსვლელობისას ხშირად გაისმოდა სიცილი, დასასრულს ბევრის თვალში მაინც ძლივს შესამჩნევი ნამი კიაფობდა. ეს განწყობა აისახა ბატონ მიშა ქვლივიძის გამოსვლაშიც, ამანვე გამოიწვია ქალბატონ მედეას პატივსაცემად წაკითხული ლექსის არჩევანიც — „ლტოლვილი მამალი", თუმცა, ფილმში არც აფხაზეთია სადმე ნახსენები, არც ომი და არც ლტოლვილები.

მხოლოდ მაყურებლის თვალზე მომდგარი კურცხალი, რა თქმა უნდა, არასდროს ყოფილა ხელოვნების ბარომეტრი, მაგრამ ქართულ კინოს ხომ ასე მოენატრა სითბო, სიკეთე, ღიმილი, თუნდაც სევდა და ტკივილი — ნორმალური ადამიანური გრძნობები.

ფილმის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, თუმცა გადაღებულია ვიდეოფირზე, იგი არ ტოვებს სახელდახელობის, გამოსახულების ხარისხისადმი ზერელე დამოკიდებულების შთაბეჭდილებას, რასაც ასე მიგვაჩვია დღევანდელმა ჩვენმა ვიდეოპროდუქციამ.

ავტორთა კოლექტივის და, უპირველეს ყოვლისა, დამდგმელი ოპერატორის დამსახურებაა, რომ ფილმში გადალახულია ელექტრომაგნიტური ველისთვის დამახასიათებელი გამოსახულების სიბრტყობრიობა, შუქ-ჩრდილების, ფერთა გრადაციის გადმოცემის სიღარიბე. და თუმცა ტექნიკის მიერ დადებულ ზღვარს ვერსად წაუხვალ, ეს მაინც მხატვრული კინოა განათების ნიუანსებით, გამოსახულების სიღრმით, მეტყველი პორტრეტებით. ხოლო რა შრომად დაუჯდა ამის მიღწევა გადამღებ ჯგუფს დღევანდელ პირობებში, ამის მხოლოდ წარმოდგენა შეიძლება.

მაყურებელს ეს არც აინტერესებს. მისთვის მთავარია, რომ ვიზუალური მხარე მოწოდების სიმაღლეზეა, თავისი არაბუნებრიობით თუ ხარვეზებით ხელს არ უშლის დაამყაროს კონტაქტი ფილმთან, მსახიობებთან.

მსახიობური ანსამბლი კი მართლაც ჩინებული შეიკრიბა: გოგი გეგეჭკორს მხარს უმშვენებდნენ ყველასთვის საყვარელი მსახიობები: კარლო საკანდელიძე, გურამ ფირცხალავა, რუსუდან ბოლქვაძე, ნინო კობერიძე.

და არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება — ფილმმა ეკრანსა და მაყურებელს დაუბრუნა ჩვენი დიდებული მსახიობი, ქალბატონი მედეა ჩახავა, რითაც მისი მოახლოებული იუბილესთვის შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა თავად ქალბატონ მედეასაც და ქართული კინოს მოყვარულებსაც.

სწორედ ამ იუბილესთან დაკავშირებით, 16 მაისს ტელემაყურებელს საშუალება ექნება, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით იხილოს ფილმი „რა გაცინებს?!" და თავად შეამოწმოს ჩვენი შთაბეჭდილებების სისწორე.

**მანანა ლეკბორაშვილი**

## ამაგი

## მოწოდება — პედაგოგი!

**იქნებ ამგვარი წერილების კითხვას გადაეჩვია მკითხველი. ამაოდ... სწორედ დღეს უნდა გაიცნოს ხალხმა, ვინ იცხოვრა ნამდვილი ცხოვრებით ამ ორომტრიალში, ვის შეუძლია თქვას, რომ თავისი სიცოცხლე მთლიანად შეალია ადამიანების სულიერ აღზრდას...**

ბავშვობაში „მასწავლებლობანა" ყველას გვითამაშია. შეგვიდგენია „ჟურნალები", „გაგვისწორებია" საკონტროლო ნამუშევრები, დაგვიწერია „ნიშნები"... მერე ცოტას თუ გაგვჩენია სურვილი, შევბმოდით ისეთ რთულ საქმეს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. ამგვარი ოცნება მხოლოდ მოწოდებით პედაგოგებს უხდებათ.

ასე ყოფილა ქალბატონ ლიანა მაჭარაშვილის ბავშვობაშიც. მასაც გასჩენია სურვილი — თოჯინებისთვის „ესწავლებინა" ანი და ბანი, ოღონდ ისე გაუთავისებია მასწავლებლის „როლი", დღესაც იმეორებს — ჩემი მოწოდება მხოლოდ პედაგოგობა იყო, იმდენად მიყვარს ჩემი მოსწავლეები, ახლა, გაზრდილებს და დავაჟკაცებულებს რომ ვხედავ, სიამაყით ვივსები, მგონია, დიდი წვლილი შევიტანე მათ ჩამოყალიბებაში.

... ასეც არის. დღეს ხშირად ნახავთ ქალბატონი ლიანას საოცრად სტუმართმოყვარე ოჯახში მის აღზრდილებს, ვისთვისაც უმთავრესია მათი აღმზრდელის დარიგება, თითქოს იმისთვის ცხოვრობენ, რომ ლიანა მასწავლებელს ჩააბარონ ანგარიში როგორ გამოიყენეს მისი გაკვეთილები.

ლიანა მაჭარაშვილი უკვე ოთხი ათეული წელია თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას აზიარებს მომავალ თაობას, თუმცა მხოლოდ საგნის მასწავლებლობა ძალზე ცოტაა იმის შესაფასებლად, რასაც ქალბატონი ლიანა გადასცემს აღსაზრდელებს. იგია ყველა სასიკეთო წამოწყების დამგეგმავი, იგია ბავშვებისთვის ყველაზე ერთგულესი და უსათნოესი ლიანა მასწავლებელი და იგია საქვეყნოდ ცნობილი დიდი შექსპირის ციცქნა კაბინეტის დამაარსებელი ამავე სკოლაში.

თავის თავზე ცოტას საუბრობს „აბა, რა გითხრათ, თუ რამ გამიკეთებია. ბავშვების სიყვარულით და პატივისცემით. მეტი არაფერი", ამბობს იგი და მე ვრწმუნდები, რომ პროფესიონალ პედაგოგს თუ ბავშვების სიყვარულიც ახლავს, გაკვეთილზე ისე მალე გარბის დრო, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებ. ქალბატონ ლიანას გაკვეთილზე ბავშვები მხოლოდ ინგლისურ ენას არ სწავლობენ, იგრძნობა, რომ მასწავლებელი პიროვნებებს ესაუბრება და არა მოსწავლეებს, იგრძნობა, რომ ინგლისურად ამეტყველებულ ბავშვებს არანაირი შიში არ აქვთ, გაკვეთილი არავინ მკითხოსო, პირიქით, გაკვეთილზე ისინი ლაღად, თანატოლივით უძახიან პედაგოგს. „დედას გეფიცებით, ისეთი ქალია, სინდისი არ მოგცემს საშუალებას, გაკვეთილზე უცოდინარი მიხვიდე", — მითხრეს IX (III) კლასის მოსწავლეებმა.

**ნაჩელა გოგოხიძე** 55-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ინგლისური ენის სწავლების დარგში: „ჩემთვის ქალბატონი ლიანა ყოველთვის მისაბაძია ყველა საქმეში. ხანამ დავიწყებდი პედაგოგი ვიყავი და ახლაც, როცა რამეს ვაკეთებ, სულ ვფიქრობ — როგორ გამოჩნდება ეს საქმე ლიანას თვალში.

ის, რომ ინგლისურ ენას ზედმიწევნით ფლობს, რომ პროფესიონალია და არაჩვეულებრივად დატვირთული გაკვეთილი აქვს, არაა ახალი, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა.

ლიანა მაჭარაშვილს რაღაც სხვა ინდამატი ახლავს, ასე მგონია, მისი აღზრდილები თავს აწონებენ ლიანა მასწავლებელს.

დარწმუნებული ვარ, ის, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ქალბატონ ლიანას გაკვეთილს, ცუდი ადამიანი ვერ გამოვა. იგი უდიდესი შემოქმედი და საოცრად პოეტური ბუნების ადამიანია..."

ზემოთ შექსპირის კაბინეტი ვახსენეთ.



ბევრმა არ იცის, რომ ამ პაწაწა ოთახს უამრავი სტუმარი ჰყოლია, აქ ხშირად იმართებოდა შექსპირის საღამოები, ითარგმნებოდა დიდი ინგლისელი მწერლის ნაწარმოებები, ხვდებოდნენ შექსპირის თეატრალურ გმირებს, ქართველ მსახიობებს, უცხოელ შექსპიროლოგებს... ამ კაბინეტმა დაამეგობრა ქართველი, ინგლისელი და ამერიკელი მოსწავლეები, ყველაფერ ამის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი კი ქალბატონი ლიანა იყო.

სამწუხაროდ, პატარა საგაზეთო წერილში ვერ დაეტია ის სითბო, რასაც ეს ადამიანი გამოსცემს. ქალბატონ ლიანას მეტი არც არაფერი სურს — პროფესიონალ პედაგოგს, უზადო პიროვნებას, სათნო მეუღლეს, მოსიყვარულე დედას და პატარა გივიკოს თავდადებულ ბებიას დიდი ... დააქვს თან მან ხომ უამრავ ამიანს შეაშველა ხელი ცხოვრების გზაზე...

დადის ახლა თბილისის ქუჩებში საოცრად სიმპათიური ქალბატონი, რომელსაც ამაგი ყველა აღზრდილმა დაუფასა. ახლა ჯერი ჩვენზეა.

**მაია ტორაძე**

**ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.**



## იყიდება

- ერთოთახიანი ჩეხური სუფთა ბინა გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში, ტელეფონით, მე-9 სართულზე, საწყისი ფასი 6300 დოლარი. ტელ.: 34-2?-47.
- დიდუბეში ოროთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით, რკინის კარით, სარდაფით, პირველი სართული, ბელეტაჟზე, ფასი 15000 დოლარი. ტელ.: 34-2?-47.
- აგარაკი კასპის რაიონში, სოფელ ნიაბში. სახლი ერთსართულიანია, აქვს ორი საძინებელი, სამზარეულო, ვერანდა და აივანი, აგრეთვე, ბაღი, მსხმოიარე ხეხილით (800 კვ.მ. ფართობი). ტელ.: 95-44-79 ან 66-82-06.
- სამოთახიანი სუფთა ბინა ორი აივნით. საგარაჟე ადგილით. მისამართი: (აფრიკა) ჰიჰინაძის ქ. 1. მე-7 კორპ. მესამე სადარბაზო, მეოთხე სართული, ბინა 52. ტელ.: 51-42-52, ლევანი.
- დიღმის მასივში ოროთახიანი გარემონტებული ტელეფონიანი ბინა, თოთხმეტსართულიანი სახლის მეთოთხმეტე სართულზე. ფასი 13000 ლარი. ტელ.: 51-68-84.
- ვერაზე, ფილარმონიასთან ოროთახიანი სუფთა ბინა სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-31-14, ნანა.
- შეღავათიან ფასებში სააგარაკო სამსართულიანი დაუმთავრებელი სახლი, შინდისის ახალ დასახლებაში, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით. დახურულია ცინკის თუნუქით. გარედან მთლიანად გალესილია. აქვს მანსარდი, ორივე სარდაფი. შემოღობილია მავთულის ბადით. კანალიზაციის და წყლის მილები ჩაწყობილია. შუქი გაყვანილია. ან იცვლება ოროთახიან ბინაზე თბილისში. თბილისიდან აგარაკი 12 კმ-ზეა. ტელ.: 34-46-11, იკითხეთ პავლე ან ლია.
- ან იცვლება ოროთახიან და ერთოთახიან ბინებზე, სამოთახიანი გარემონტებული ჩეხურ-ყავლაშვილის პროექტის ბინა, რომელსაც აქვს მიშენება 55 კვ.მ. (იატაკი დაბეტონებულია). აქვს 18 კვ.მ. სარდაფი და 12 კვ.მ. ოთახი (ყოფილი საშრობი). ტელ.: 93-55-14, 99-64-92, იკითხეთ ტატუ მებურიშვილი. მისამართი: ნუცუბიძის პლატო, პირველი მ/რ, კორპუსი 16, სადარბაზო პირველი, სართული მეხუთე.
- დუშეთის რ-ნ, სოფ. ჰოპორტში საგარაკო სახლი, დაუმთავრებელი, კარგი პროექტით, 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. 10-წლიანი მსხმოიარე ყველა სახის ხეხილით, ვენახით, ტალავერით. ჩამონტაჟებულია საბუხრე მილი. ტელ.: 34-46-11, პავლე ან ლია.
- ოროთახიანი ბინა, გადაკეთებული სამოთახიანად, ახალი კაპიტალური რემონტით, უცხოვრებელი, ტელეფონით. ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-3 კვარტალი, მე-6 კორპუსი, მე-2 სართული. ფასი 18 ათასი ლარი. ტელ.: 34-68-28, ბადრი ან ვაჟა.
- ოროთახნახევრიანი არასტანდარტული ბინა ქავთარაძის ქუჩაზე. 16-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-24-26, 38-55-78.
- სასწრაფოდ ხილიანის ქუჩაზე ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე იმდენივე ფართის ნახევრად სარდაფით. უმაღლესი დონის რემონტით. დარჩენილია სამალიარო სამუშაოები. საერთო ფართი 280 კვ.მ., ორი საგარაჟე ადგილით და მასალით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-82-41, 36-51-31.
- ორსართულიანი კაპიტალური ახალაშენებული სახლი საბურთალოზე (ვედისში). 1000 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, ავტონომიური გათბობით (ბოილერით), მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. საწყისი ფასი 80000 დოლარი. ტელ.: 37-18-99.
- არასტანდარტული იზოლირებული ოროთახიანი ბინა, სარდაფით, ჭავჭავაძის ქ. № 30-ში (პედაგოგიური ინსტიტუტის გვერდით), პირველ სართულზე. ბინა მდებარეობს კორპუსების ეზოში, ცალკე. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 36-27-07 (დარეკეთ მთელი დღის განმავლობაში, იკითხეთ დათო ან ლუდა).
- ოროთახიანი საკუთარი სახლი, გასარემონტებელი, პატარა ეზოთი, ტელეფონით, ქობულეთის ქ. № 18-ში, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-09-16 (საღამოს საათებში, ნათელა).
- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ვაკეში ფინური სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-48. იკითხეთ ზაზა.
- ან იცვლება 50 კვ.მ. ფართის იზოლირებული ბინა გმირთა მოედანზე 11-სართულიან სახლში, მე-5 სართულზე, ოთახების ფართია 21,1 კვ.მ., კარგად გარემონტებული ოთახები ერთმანეთში გამავალია. გაკეთებულია ანტრესოლები, სარკეები, სამზარეულოში გაკეთებულია კარადები. გაცვლა სასურველია იმავე ფართის გარემონტებულ ან სუფთა ბინაზე, მაღალ ბელეტაჟზე ან მეორე სართულზე (მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ). ტელ.: 36-46-78.
- 4-ოთახიანი ჩეხური კაპ.გარემონტებული ბინა, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონი. მე-7 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-79-48, 38-57-58.
- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „დელისთან“ ახლოს. საწყისი ფასი 11000 ლარი. ტელ.: 39-30-42 (ვანო ან მანანა).
- 650 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის საბურთალოზე, გამოეხმაუროს მყიდველი (ფასი 50 ათასი ლარი) ან ერთობლივად მშენებლობის მსურველი. ტელ.: 99-60-05.




## ვაქირავებ

მეტრო „ვარკეთილთან“ ერთ გაჩერებაში 2-ოთახიან ბინას, მე-13 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-25-26.

ხუთოთახიან ბინას სარდაფით, ტელეფონით, მდებარეობს კოლმეურნეობის მოედანზე. შესასვლელით ეზოდან და ქუჩიდან. სასურველია იჯარით ოფისისთვის. ტელ.: 99-61-89, 36-42-80.

- ოროთახიან იზოლირებულ არასტანდარტულ ბინას ლოჯით, ტელეფონით, მაცივრით, მეტრო „მარჯანიშვილთან“. ტელ.: 93-49-81.
- ერთოთახიან ბინას პირველ სართულზე. მისამართი: ქვემო ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილზე. ტელ.: 39-66-07, დათო.
- რკინის გარაჟს ორმოთი, პეკინის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-38-49.
- ხუთოთახიან ბინას სარდაფით, ტელეფონით, მდებარეობს კოლმეურნეობის მოედანზე. შესასვლელით ეზოდან და ქუჩიდან. სასურველია იჯარით ოფისისთვის. ტელ.: 99-61-89, 36-42-80.
- მეტრო „ვარკეთილთან“ ერთ გაჩერებაში 2-ოთახიან ბინას, მე-13 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-25-26.
- ოროთახიან ბინას სამტრედიის ქ. № 15. ტელეფონით, ავეჯით. მინიმალური ფასი 200 დოლარი. ტელ.: 35-21-67.
- სამ, ოთხ, ხუთოთახიან ბინებს ვაკეში. ტელ.: 38-01-11.
- სამოთახიან იზოლირებულ ბინას ვაკეში. მეორე სართულზე. ტელ.: 23-17-31, დოდო.
- გარემონტებული ბინა ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე. ორი ოთახი საკუთარი გარაჟით ეზოში, ბინის საერთო ფართია 40 კვ.მ. შესასვლელი ქუჩიდან, ნებისმიერი კომერციული საქმიანობისთვის. შესაძლოა 30 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მიმატება. მისამართი: ბარნოვის 24, კუპრეიშვილი გურამი.
- ექვსი თვით მხოლოდ უცხოელებზე! სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ვერაზე (კოსტავას ქუჩა), უცხოური ავეჯით, ფერადი ტელევიზორით, მაცივრით, კონდიციონერით, ცხელი წყლით და ბალონის გაზით. ფასი 600 ლარი. ტელ.: 29-33-25.

**იყიდება სასწრაფოდ „მერსედეს ბენცი-123“ „102“ ძრავით, ბენზინზე. ავტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-48-05, იკითხეთ კარლო.**

- ოროთახიან ტელეფონიან, ლოჯიან ბინას ნაწილობრივ ავეჯით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან, ხუთსართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გისოსებით, რკინის კარით. ფასი 250 ლარი. ტელ.: 37-23-78.
- ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე, ოროთახიან იზოლირებულ, ტელეფონიან ბინას. ფასი 190 ლარი. ტელ.: 23-14-61, 22-38-90.
- ვერაზე პეტრიაშვილის ქ. №3-ში 3-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს. ტელ.: 22-11-65. იკითხეთ ნანა. ორ ან ერთ სტუდენტ გოგონაზე, ფასი შეთანხმებით.
- უცხოელებზე ექვსოთახიან, არასტანდარტულ კეთილმოწყობილ ბინას, იმპორტული ავეჯით, როიალით, ორი აივნით, აივნიდან ლამაზი ხედით, ორი ტუალეტით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. მეექვსე სართული (ლიფტი მუშაობს). სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე. 1300 ლარი. ტელ.: 22-03-48, ნანა.
- ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით თამარ მეფის გამზირზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 99-09-61, ანი.



## ავტობირჟა

- ვყიდი იაპონურ ავტომანქანას „მაზდა“-626. საჭე მარცხნივ, შვიდნახევარი წლის. ფასი 6000 ლარი. ტელ.: 38-55-78.
- ვყიდი „ზილ-MM3-45-02“ თვითმცლელს, ექვსცილინდრიანს. 1987 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ესაჭიროება მხოლოდ აკუმულატორი. ფასი — 1600 დოლარი. ტელ.: 22-50-07 (ზურა, საღამოს საათებში).
- ვყიდი გაზ-21 მარკის მანქანას. 1964 წელს გამოშვებული. ფასი 1000 ლარი. ტელ.: 22-41-06.
- ვყიდი ვაზ 2106 თავისი ძრავით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-13-13, კარტოზია.
- შევიძენთ ავტომანქანა ზაპოროჟეცს კარგ მდგომარეობაში, 700 ლარის ფარგლებში. ტელ.: 39-75-58, შალვა.
- ვყიდი ვაზ-21-07 მარკის ავტომანქანას ბეჟი ფერის, 1992 წელს გამოშვებული. ნადგომი, გავლილი აქვს 4500 კმ., საუკეთესო მდგომარეობაში. პრაქტიკულად სულ ახალი. ტელ.: 37-09-82. ფასი შეთანხმებით.
- ვყიდი ა/მანქანას „ტავრია“, 1991 წლის გამოშვება. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 93-14-65. იკითხეთ თემური.
- ვყიდი სასწრაფოდ ავტომანქანა „პეჟო 309“ კარგ მდგომარეობაში, 1986 წლის. გარბენი 87000 კმ., 100 კმ-ზე ხარჯავს 5 ლ. ბენზინს. საწყისი ფასი 6800 ლარი. ტელ.: 31-21-59, 93-53-14.
- ვყიდი BMW-ს მარკის ავტომობილის ნებისმიერ ნაწილს. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 37-66-41.
- ვყიდი „ნისანის“ მარკის ავტომანქანას. ძალიან კარგ მდგომარეობაში (კომპლექსი, მოტორის გარეშე), თავის კონდიციონერით და მაგნიტოფონით, ასფალტისფერი. ტელ.: 71-73-67, 74-73-84 (სახლი).
- იყიდება სასწრაფოდ ქალაქის ცენტრში ავტოსადგომი, ავტოგასამართი ბოქსებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-23-82, თემური, 95-31-65, ავთო, საღამოს საათებში.
- ვყიდი „ნივა ვაზ-21-21“-ს, გამოშვებულია 1990 წელს, წითელი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. ტელ.: 22-55-69.
- ვყიდი გაზ-21, 1964 წლის გამოშვება, ახალი ძრავით, ფასი 1250 ლარი. ტელ.: 22-41-06.
- იყიდება „ვაზ-05“, „ვაზ-07“, „ვაზ-08“ მანქანის სათადარიგო ნაწილები, შეღავათიან ფასებში. მაღაზია „ნატვრისთვალი“, ცოტნე დადიანის ქ. 311. ტელ.: 66-02-01.
- ვყიდი მანქანას „მოსკვიჩი იჟ-2715 (ფურგონი). ფასი 2000 ლარი. 1986 წლის გამოშვება. ტელ.: 29-18-92, 23-15-36, დათო.
- ვყიდი ბმვ-518-ს, 4 კარიანს, არაგარდამავალს, მუშა მდგომარეობაში. მოსკოვის ნომრებზე. ან ვცვლი შესაბამის ავტომანქანაზე საქართველოს ნომრებზე. ტელ.: 22-45-86, იკითხეთ ზურა.
- ვყიდი გერმანულ მანქანა ოპელ-კადეტს ფურგონით. დიზელზე. 1985 წლის გამოშვება. ფასი 5500 ლარი. ტელ.: 39-17-25, ბაჩო.
- ვყიდი 1985 წლის 06 მარკის თეთრი ფერის ჟიგულს, თავისივე ძრავით. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-47-96.
- ვყიდი 1983 წლის ოთხცილინდრიან მერსედესს — 200. ძალიან კარგ მდგომარეობაში. სავარაუდო ფასი 6400 ლარი. ტელ.: 39-47-96, ლექსო.

## ვცვლი

- ოროთახიან იზოლირებულ ბინას, აივნით მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს დავით აღმაშენებლის 95 ა, მე-2 სართული; ერთ და ოთახნახევრიან ბინაზე, სურვილი გვაქვს გავცვალოთ კ.გამსახურდიას (ყოფილი პეკინის), მთაწმინდის ან სოლოლაკის რაიონების მიდამოებში. ტელ.: 96-72-01, იკითხეთ რუსუდანი.
- ქუთაისში რუსთაველის პროსპექტზე პრესტიჟული ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე კუთხის ნათელ ოროთახიან (ოთახები 20+15 კვ.მ., მიშენებული ლოჯი — 26 კვ.მ., ჭერი 3,60 სმ.), აივნიან, სარდაფიან, ტელეფონიან. პრივატიზებულ ბინას ქ.თბილისში 1-1,5-ოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. ტელ.: 22-00-46, მაია.
- 2-ოთახიან ბინას (ბელინსკის ქ.5). 30 000 ბოთლ შამპანურში. ნუგზარ მაისურაძე.
- ვაჟა-ფშაველაზე ორ გარემონტებულ ბინას — ერთი ოროთახიანი, მეორე — ოთახნახევრიანი, 4 ან 3-ოთახიან ერთ ბინაზე. ტელეფონი: 39-56-93.
- ერთოთახიან ბინას ამოშენებული ლოჯიით 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ვარკეთილის ზემო პლატოდან (მეტრო ვარკეთილიდან ერთ კილომეტრში) ვაჟა-ფშაველას IV, III, VI კვარტალში ან ნუცუბიძის პლატოზე. ტელ.: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26. ნინო.
- ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „კავკასიის ბირჟის“ პირდაპირ, ასევე ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისის“ მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.
- 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-3 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.
- თემქაზე მე-3 მიკრორაიონში ჩეხური პროექტის ოროთახიან სუფთა ბინას (მე-7 სართული, უტელეფონოდ) და დიდ დიღომში მე-3 მიკრორაიონში ახალ ბინას (მე-16 სართული), სამოთახიან „ხრუშჩოვკაზე“, ვაჟა-ფშაველაზე ნებისმიერ ადგილას. ტელ.: 99-76-70. იკითხეთ ირა.

## სხვადასხვა

- ვილებ დაკვეთას — ვწნავ და ვრეცხავ მატყლს, შევკერავ ლეიბსა და საბანს. ტელ.: 31-63-47, მარიკა.
- ვყიდი რუსეთის ვიოლინოს 4X4, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-89-58.
- ვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში და ფიზიკაში. ტელ.: 95-44-79.
- ვყიდი პიანინოს „ივერია“, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-62-90, ნანა.
- სოხუმის ს/ს „ორგტექნიკა“ შეიძენს წნეხ-ყალიბებს, წნეხ-ყალიბის კომპლექტს საწერ-კალამზე („პასტა“), მისამართი: ქუთაისი, გუგუნავას № 1 (ელექტრომექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე). ტელ.: 5-38-26 (ქუთაისი), 68-57-65 (თბილისი), მანანა.
- ვყიდი მუშათა ტანსაცმელს (ЦЕПОВКА) 2000 ც. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-82-02. იკითხეთ დათო.
- ვყიდი სანადირო თოფს იჟ-58. თორმეტკალიბრიანი, ავტომატური (ახალი). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-06-25, იკითხეთ მაია ან თენგიზი.
- ვყიდი გამზადებულ რკინის კარს. ბინისთვის, თავისი ჩარჩოთი (შველერებში), საკეტებით და ურდულით. იღება შიგნით, მარცხენა მხარეს. ზომები 220X94. ტელ.: 34-46-11, პავლე ან ლია.
- ყურადღება! წიგნის მოყვარულთა კავშირი „ბესტსელერი“ სამუშაოდ იწვევს სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა ბუღალტერს ფირმის მთავარი ბუღალტრის მაღალხელფასიან ვაკანტურ თანამდებობაზე. დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ მისამართზე: მელიქიშვილის ქ.№ 13. ტელ.: 29-41-54.
- ვყიდი რუსეთის, სარატოვის წარმოების მინას. ზომა 130X160, სისქე 4 მმ. ფასი 6 ლარი. 1 კვ.მ., რაოდენობა შეუზღუდავი. ტელ.: 98-44-87.
- ვყიდი ქართული პურის საცხობს. ტელ.: 22-31-34, 34-18-56.
- ვყიდი ხორცის კონსერვის დამამზადებელ მცირე სიმძლავრის საწარმოს აღჭურვილობას. ყველა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით. საწყისი ფასი 1500 ლარი. ტელ.: 37-53-27 (გოგი).
- ვყიდი „BK“-1500 კონდიციონერს, ნახმარი. ტელ.: 39-81-16.
- ვყიდი ახალ ჩეხური გამოშვების პიანინოს „Петроф“ ფ.შ. ტელ.: 37-34-36.
- ვყიდი ანტიკვარულ კაკლის ხის დიდ ბუფეტს, თეთრი მარმარილოთი, ზედა ნაწილი დგას ორ დიდ ლომზე, საჭიროებს მცირე კოსმეტიკას. ფასი შეთანხმებით; ანტიკვარულ წითელი ხის მისაღებს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-46-78.
- უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი მოამზადებს მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ტელ.: 35-42-09.
- ვყიდი რკინის მილებში ჩასმულ რკინის ბადეებს, (2X2-ზე; 40 ცალი), ფასი — თითო 28 ლარი; 4-ტონიან თაღლია ცისტერნას ონკანით; ფასი — 1200 ლარი; ტელ.: 78-63-70, (ციცინო).
- ვყიდი სხვადასხვა ავეჯს, ანტიკვარულ ნივთებს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ვყიდი რუმინული წარმოების კედელს „მარინა“. ფასი 3000 დოლარი. ტელ.: 22-54-79.
- ვამზადებ გერმანულ ენაში, ვთარგმნი. ტელ.: 98-46-11, 99-70-94, დათო.
- ვყიდი კავკასიურ ნაბადს, ბეწვიანს და უბეწვოს, თეთრი და შავი ფერის, ფაფახს, თეთრი და შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-93-26, მარგოშვილი მახმადა.
- ვყიდი საკერავ მანქანას „პოდოლსკი“. ფასი შეთანხმებით; რუმინულ ორკარიან კარადას, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 78-42-12, იკითხეთ მაია ან მანანა.
- ვყიდი გერმანულ პიანინოს „ფუნსმონგი“ (ახალი), ფასი 750 ლარი; გერმანულ ჩაის სერვიზს (ფაიფური) 12 კაცზე, 150 ლარი; პოლონურ საძინებელს კარგ მდგომარეობაში, ფასი 770 ლარი; ორ ცალ ჩეხურ მინის ჭაღს, ერთი ფერადი მინის — 150 ლარი, მეორე ჩვეულებრივი თეთრი ფერის — 100 ლარი. ტელ.: 78-88-88, იკითხეთ ხათუნა ან მამუკა.



**ორბი**

**საქართველოს საჰაერო გზები**

ა.წ. 6 მაისიდან ავიაკომპანია „ორბი“ იწყებს ფრენას თბილისი — ბუდაპეშტი — ბერლინის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველი კვირის ორშაბათ დღეს, 16 საათზე.

ა.წ. 9 მაისიდან ავიაკომპანია შეასრულებს დამატებით რეისს თბილისი — სტამბულის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს, 19 საათსა და 30 წუთზე.

**ბილეთებისთვის მიმართეთ ავიაკომპანიის სააგენტოებს.**

- ვყიდი რუმინულ საწერ მაგიდას „ტიულპანი“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: ?8-22-89, 61-58-57.
- ვყიდი ცომსაზელს სამი დეზით, ფასი 750 ლარი; დიდი მოცულობის 4-ტონიან ტევადობის მაცივარს, კარგ მდგომარეობაში. ფასი 900 ლარი. ტელ.: 96-08-42, სოფიკო.
- ვამზადებ ფრანგულ ენაში დაჩქარებული მეთოდით, როგორც ცალკეულ პირებს, ასევე აბიტურიენტებს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-29-78.
- რუსეთის ფედერაციის სამხედრო ჰოსპიტლის უროლოგიურ განყოფილებაში ტარდება ქრონიკული პროსტატით დაავადებულთა მკურნალობა აპარატული მეთოდით. მისამართი: თბილისი, სამხედრო ჰოსპიტალი, უროლოგიური განყოფილება (მეტრო „ისანთან“), ექიმი გიორგი კაისხეველი.
- ვყიდი ტყავის სამეულს, ფასი 1000 დოლარი; სარეცხ მანქანა „Эврика 3М“-ს, ფასი 300 დოლარი; გერმანულ საკერავ მანქანა „ვერიტასს“, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-10-73 (გულიკო).
- მაქვს ავტობუსი ლაზ 695 ბუნებრივ აირზე, მჭირდება მძღოლი. მსურველმა დარეკოს ტელ.: 39-47-96.
- ვყიდი ახალ ჩეხურ პიანინოს „პეტროფ“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-34-36.
- ვყიდი 24-სანთლიან ჭაღს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-30-37.
- ვყიდი პოლონურ სამზარეულოს ავეჯს „ელენა“, კარგ მდგომარეობაში, მაგიდის და სკამების გარეშე. ფასი 500 ლარი. ტელ.: 29-33-25.
- ვყიდი მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის 50 ტომს — ქართულ ენაზე. ფასი 250 ლარი. ტელ.: 29-33-25.
- ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ, გერმანულ როიალს „ბეკერს“ (კარგ მდგომარეობაში), ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-32-64, 36-52-00 (ნათელა, საღამოს საათებში).
- ვყიდი სახლის გადასახურავად მოთუთიებულ თუნუქის ფილებს („ცინკის შიფერს“, ორღარიანს), ზომა 132X57 სმ, 126 ცალი. თითოეულის ფასია 7,5 ლარი; ავეჯის (ან კედლის) მოსაპირკეთებელ დეკორატიულ პლასტიკატს — „ელაბლასტს“, რულონში, რულონის სიგრძე 44 მეტრი, სიგანე 96 სმ, გრძივი მეტრის ფასია 5 ლარი; ავტომანქანის საბარგულს — კარავს (დაკეტილი საბარგულია, გაშლილი — კარავი), ფასი 250 ლარი. ტელ.: 34-86-51, ზურაბი.
- ვყიდი სახურავის თუნუქის ფილებს. 2,5 მ X 1,1 მ. 32 ცალი. დარეკეთ 6 საათის შემდეგ. ტელ.: 38-14-03, თემური.
- ვყიდი ირანულ გარდერობს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-30-37, მარინა.

## ვიყიდი

- მუშა მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანას ... ლარის ფარგლებში. ტელ.: 61-33-45. იკითხეთ ლორინა.
- ერთოთახიან ბინას საბურთალოზე მეტრო... ახლოს, 11000 ლარის ფარგლებში ... ბოლო სართულებს ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 38-18-06, ლია.
- როიალს. ტელ.: 22-46-49.
- ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში. ტელ.: 51-... 90, 51-25-01, იკითხეთ რუსიკო ან გია.
- 2-ოთახიან სუფთა ბინას საბურთალოზე 1? ... დოლარის ფარგლებში. ტელ.: 39-84-23.
- ერთ ან ოროთახიან ბინას საბურთალოზე. ტელ.: 39-01-81.
- ბოლო დროს გამოშვებულ, კარგ მდგომარეობაში მყოფ „ზაპოროჟეცის“, „ტავრიის“ ან ... მარკის ავტომანქანას ხელმისაწვდომ ფასად. ტელ.: 39-75-58, იკითხეთ შალვა.
- სასწრაფოდ ოროთახიან სუფთა ბინას ქალაქის ცენტრში (ბახტრიონისა და ... მიდამოებში) 20 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 37-06-29, იკითხეთ დოდო.
- სანადირო თოფს „იჟ-27ე“ — 12 კალიბრიანს. ტელ.: 37-52-79 (საღამოს საათებში), 95-51-07 ...
- ფერად ტელევიზორს (ნახმარს) კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 23-55-39.

## ვიქირავებ

- ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძალადევის“ ... ლოს. ტელ.: 37-23-78, იკითხეთ ეკა.
- უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 3-4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯის გარეშე ... ქალაქის ცენტრში. 2-3 წლით. ტელ.: 95-... 35 (დღისით), 23-35-53, 38-90-66 (საღამოს) ... იკითხეთ თამრიკო.
- 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 29-2?-77 (... 19-93 (სამსახ.) გოგი.
- ერთ ან ოროთახიან ბინას ვერა-ვაკის მიდამოებში 100 დოლარის ფარგლებში. ვარ ერთი სტუდენტი გოგონა. ტელ.: 23-20-11 ან 23-35-96 (იკითხეთ ნანა ან მაიკო).
- ორგანიზაცია იქირავებს მსუბუქ ავტომანქანას მძღოლის გარეშე. ტელ.: 93-66-25.

გაზეთ „კავკასიონის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარ ინჟინერს, სოსო მურღულიას მამის
**სოკრატ ლევანის ძე მურღულიას**
გარდაცვალების გამო.

თავდაცვის სამინისტროს ,პრესსამსახური სამძიმარს უცხადებს ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის უფროსს, პოლკოვნიკ თენგიზ ქავთარაძეს დედის
**ნინა ქავთარაძის**
გარდაცვალების გამო.



**დალი ძიძიკაშვილი**

უსაზღვროა ჩვენი ... დაო დალი. ძნელია ... საკუთარ დაზე, როდესაც ... ყველას გვტანჯავს შენი ... ჯერ ერთი . წელიც არ ... მხოლოდ შენი დაბადების ... მოახლოვდა 22 მაისი ... იქნებოდა, ჩვენს შორის ... ლიყავი, შენს შვილებს ... მაგრამ ჩვენ მაინც გვახსოვხარ ...
დიდია უშენობით გამოწვეული ჩვენი ტკივილი ...
შენი და ელა

## კროსვორდი

შვეულად: 1. დიდი თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა. 2. ერთად მცხოვრები მოსახლეობა — სოფელი. 3. დაავადება, რომლის დროსაც რომელიმე ორგანო კარგავს მოქმედების უნარს. 4. საზღვარგარეთის ქვეყნებში: სესხი, უძრავი ქონების დაგირავებით. 5. რაიმე ნაგებობის ლითონის ან ხის ჩონჩხი. 6. ფარული დაცინვა. 7. ვრცელი ადგილი, არე, სადაც რაიმე შეიძლება მოთავსდეს. 10. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა. 12. მდინარე ხარაგაულის რაიონში, ძირულას შენაკადი. 13. თბილისის ერთ-ერთი უბანი. 14. დაუკავებელი თანამდებობა. 15. სასტუმრო ძველად, რომელსაც ჰქონდა სასადილო. 20. ჰაერში მოძრაობა. 21. პროსპექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 23. ეტიკეტი. 24. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 25. რისამე ჩატარება განუწყვეტლივ დროის გარკვეულ მონაკვეთში. 26. სამეგრელოს ძველი სახელწოდება. 30. მტაცებელი ცხოველი. 31. წყლული.

თარაზულად: 3. სარგებლობის ნაცვლად ვნების მომტანი სამსახური. 5. მუდმივი მყიდველი, შემკვეთი. 7. საკრავზე გაბმული ლითონის ან აბრეშუმის ძაფი. 8. წარწერა საკუთარი ხელით. 9. ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის ძველი ებრაული სახელწოდება. 11. ცნობილი რუსი მომღერადი ქალი. ცნობილია სახელის ფსევდონიმით. 14. შემინული ყუთი, სადაც გამოფენილია სხვადასხვა ნივთები. 16. მრგვალი ფორმის მაღალყელიანი მინის ჭურჭელი. 17. ერთ-ერთი რევოლუციური გაზეთი. 18. აყაზბეგის ნაწარმოები. 19. ახალი, ნორჩი. 20. თევზის წვრილი ძვალი. 22. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე. 24. რაიონული ცენტრი საქართველოში. 25. ნიავი. 27. ქალაქი კავკასიაში. 28. ჰუჰრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი. 29. კონტინენტი. 30. შენობის რთული, დახლართული განლაგება. 32. დაბალი ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე. 33. შინაური ცხოველი. 34. ზოგი რამის კარგად შერჩეული ნარევი.

შეადგინა მურთაზ ხანთაძემ




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 1. პეიზაჟი. 6. სამურაი. 10. ნოინი. 11. სიონი. 12. განგა. 13. სტატიკური. 14. აორტა. 15. ატომი. 16. არარატი. 19. ულისე. 21. აპისი. 23 ... 25. ფარდული. 26. ნირვანა. 27. ორგია. 29. პანკი. 31. ლიბია. 36. ფეოდალი. 37. სერსო. 39. ბლიცი. 40. პარაკლისი. 41. დიუმა. 42. ერატო. 43. კაპრი. 44. ანილ... ალიბაბა.

ვერტიკალურად: 1. პასპორტი. 2. იპოდრომი. 3. ალისა. 4. ინდაური. 5. პილიგრიმი. 6. სილუეტი. 7. მაგია. 8. რანჭოუტი. 9. იმაჟიზმი. 17. გერუსია. 18. კატრ... ლიანა. 22. სანდი. 23. სიო. 24. ინა. 28. განდიკაპი. 29. პროსოდია. 30. ნატრიუმი. 32. ბარიკადა. 33. ანტილოპა. 34. პეირაკი. 35. ალქიმია. 38. ოპალი. 39. ბიჟუ...

## გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

ქ.თბილისის პრესის გავრცელების ს/ს (ყოფილი სოიუზპეჩატი) „მაცნე“

აგრძელებს ხელმოწერას ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებზე. ხელმოწერა შეიძლება 1 თვით, 3 თვით, 6 თვით ხელმოწერის რაიონულ უბნებში, შემდეგ მისამართებზე:

1. გურამიშვილის გამზირი №80 ტელ.: 60-80-22
2. ივ.ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ.№4 ტელ.: 95-87-36
3. ქეთევან წამებულის (ყოფილი შაუმიანის) გამზ. №61 ტელ.: 74-14-47
4. წერეთლის გამზირი № 73 ტელ.: 343-75-51
5. თაბუკაშვილის ქ.№12
6. ცენტრალურ ოფისში, გამსახურდიას გამზ. №42 ტელ.: 37-47-49, 37-61-53, 93-43-97

ორგანიზაციებს [illegible] ჩვენი წარმომადგენლის თავისთან მიწვევ[illegible] ხელმოწერის გასაფორმებლად.

„მაცნე„ გარანტია ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების. ჩვენს კატალოგებში შეტანილ ჟურნალ-გაზეთებს საცალო ვაჭრობაში ვერ იყიდით.

ენდეთ ჩვენს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

**გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»**


დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.